

ბუში დიდი რვიანის სამიტზე კიოტოს ოქმს მხარს არ დაუჭერს A5



დალომბარდებული ქვეყნიდან დანახული ღიმილის ბიჭები A6



"დინამომ" ტურნე დაასრულა A6


www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი | სამშაბათი, 5 ივლისი, 2005 წელი. №150 (1010) | ფასი 50 თეთრი


## რატომაც არა?

სოფო ბუკია

*პრეზიდენტი სააკაშვილი გუშინ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში გურიის ყოფილი გუბერნატორის ჟანი კალანდაძის სახელობის კაბინეტის გახსნას დაესწრო და ქვეყანაში განვითარებულ ბოლოდროინდელ (და არა მარტო ბოლოდროინდელ) მოვლენებზე ისაუბრა.*

პრეზიდენტი მოჭიდავეთა საქმის გარშემო ატეხილ აჟიოტაჟს გამოეხმაურა და კიდევ ერთხელ შეაქო ქართული პოლიცია ბრწყინვალე მუშაობისთვის. როგორც გუშინ აღინიშნა, მიხეილ სააკაშვილი პრეზიდენტის საკანონმდებლო ინიციატივით ისარგებლებს და მიმდინარე კვირას პარლამენტში შეიტანს კანონპროექტს, რომელიც ქართული ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ იქნება მიმართული. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, კანონი დასჯის არა მარტო ინდივიდუალურ დამნაშავეებს, არამედ დაისჯება ორგანიზებულ დანაშაულთა ჯგუფის წევრობა.

**"უბნის მაყურებელი აღმოჩნდება საპატიმროში, კანონიერი ქურდი ავტომატურად აღმოჩნდება საპატიმროში... არა აქვს მნიშვნელობა, ის თვითონ ქურდობს თუ არა... ორგანიზებულ დანაშაულს ყველა გზას ჩავუჭრით. გინდა იყო "კარგი ბიჭი"? შეგიძლია ეს განახორციელო, ოღონდ ქართულ საპატიმროებში,"** - აცხადებს პრეზიდენტი, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულს ბრძოლას უცხადებს.

კიდევ ერთი ინიციატივა, რომელიც გუშინ აღინიშნა, ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობას შეეხებოდა.

როგორც სააკაშვილი აცხადებს, თავდაცვის მინისტრთან ერთად გამართული მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების 20 ათასი სამხედრო მოსამსახურე მთლიანად მომარაგდება ახალქალაქისა და ნინოწმინდის მოსახლეობის მიერ წარმოებული პროდუქციით.

**"ჯავახეთის მოსახლეობა რუსეთის ბაზებს კარტოფილით, რძით, ყველით ამარაგებდა და ხალხი ახალქალაქში და ნინოწმინდაში ამით ცხოვრობდა. ამიერიდან ჩვენ ვიყიდით ამ პროდუქციას,"** - აღნიშნა პრეზიდენტმა.

გუშინ მიხეილ სააკაშვილმა ბერნარდ შოუს ციტირება მოახდინა და ხალხი ორ ნაწილად დაყო. ერთნი, ვისაც არაფრის სჯერა და მეორენი, რომლებიც გაბედულები არიან და მუდმივად სვამენ კითხვას - რატომაც არა?

პრეზიდენტის გამოსვლის შემდგომი ნაწილი სწორედ კითხვას - რატომაც არა - მიეძღვნა.

"ჩვენ ამ კითხვას მუდმივად ვცემდით პასუხს," - აღნიშნა პრეზიდენტმა და ხელისუფლების მიღწევები გაიხსენა, რომელთა შორის აღმოჩნდა აჭარის მოვლენები... საპატრულო პოლიცია, სასწრაფო დახმარება, რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანა, განათლების რეფორმა და ერთიანი ეროვნული გამოცდები... ერთი წლის წინ არავის ეგონა, რომ ეს ყველაფერი შესაძლებელი იყო, მაგრამ "რატომაც არა?" - იკითხა პრეზიდენტმა.

მიხეილ სააკაშვილი ამავე კითხვით მიმართავს მათაც, ვისაც ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში დაბრუნების არ სჯერა: "რატომაც არა? და რა თქმა უნდა კი!" - ამბობს პრეზიდენტი.

მიხეილ სააკაშვილმა ჟანი კალანდაძეს "სახელმწიფო მოღვაწის განსახიერება უწოდა" და სტუდენტებს ურჩია, ჟანის მიბაძეთო.

და კიდევ, პრეზიდენტმა ისაუბრა პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის მნიშვნელობაზე, ერაყში დაჭრილ ქართველ ჯარისკაც მიხეილ ქუთათელაძეზე და ერეკლე მეორისა და აღა-მაჰმად ხანის დროინდელ ამბებზე, როდესაც ჯერ კიდევ არ იყვნენ ჟურნალისტები და პიარ-ტექნოლოგები, მაგრამ იყო მარკოზაშვილის დარბაზი, რომლის წევრები სოფელ-სოფელ დადიოდნენ და ხალხს ნიჰილიზმსა და უიმედობას უნერგავდნენ. მარკოზაშვილის დარბაზელები დღესაც არიანო, - ბრძანა პრეზიდენტმა...

## ნატო-ს საქართველოსთან შენიშვნები აქვს

*2006 წლის ბოლოს ან 2007 წლის დასაწყისში საქართველოს უკვე გაკეთებული ექნება განცხადება ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის პროგრამის შესრულების შესახებ და ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში შესვლის პროცესის დაწყების სურვილს ოფიციალურად გამოხატავს. ამ მიზეზით საქართველოს ნატო-სთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა საჯარო გახდა, მაგრამ, გაცილებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორია ნატო-ს პოზიცია და რა პრობლემები აქვს ქვეყანას გადასაწყვეტი.*



ესტონურმა რადიოსადგურმა "კუკუ"-მ რამდენიმე დღის წინ საკმაოდ დიდი დრო დაუთმო საქართველოს ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანების პერსპექტივებზე საუბარს და ამ კუთხით ქვეყანაში არსებული პრობლემების განხილვას. რადიოსადგურის სტუმარი ნატო-ში ესტონეთის ელჩი ჰარი ტიიდო იყო, რომელიც საქართველოში ვითარებას ადგილზე სწავლობდა და მას საკმაოდ კრიტიკულად უდგება.

იგი თავდაცვის მინისტრების ხშირ ცვლას არ იწონებს. **"არის იმის საშიშროება, რომ მინისტრთა ცვლილებები ისევ დაიწყება. თავდაცვის მინისტრის შემთხვევაში, ეს გაცილებით სახიფათოა, რადგან იშლება "ინსტიტუციური მეხსიერება", ყოველი ახალი მინისტრი, სულ მცირე, მაღალ ეშელონებს ცვლის და თან, არა მხოლოდ სამინისტროში, არამედ შეიარაღებულ ძალებშიც. ყველა ეს ფაქტორი ალიანსში გაწევრიანების შემაფერხებელია,"** - აღნიშნავს ელჩი.

სამაგიეროდ, ნატო-ში გაწევრიანების თვალსაზრისით მას დაბრკოლებად არ მიაჩნია რუსეთის პოზიცია და მასთან ურთიერთობა. საუბარი, რომ რუსეთი შესაძლოა საქართველოს და უკრაინის ნატო-ში გაწევრიანების წინააღმდეგი

გაგრძელება A3 გვერდზე

## მმართველ პარტიას სიტყვების არ სჯერა

ოპოზიციური პარტიების ნაწილი უკვე ღიად აცხადებს, რომ საკრებულოების მომავალ არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. მართალია, ზოგიერთი პარტია მაღალი რეიტინგით არ გამოირჩევა, მაგრამ არჩევნების ბოიკოტირება, წესით, საქართველოს ხელისუფლებას გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის. უპირველეს ყოვლისა, საერთაშორისო ორგანიზაციების თვალში.

ბოიკოტის სასარგებლოდ ოპოზიცია მთავარ არგუმენტად იმ შესწორებებს იშველიებს, რომელიც პარლამენტმა სულ რამდენიმე დღის წინ მიიღო და რომელიც თბილისის შესახებ კანონში შევიდა.

დღეს, "კონსერვატორული პარტიის" ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური აცხადებს, რომ, თუ კანონი "დედაქალაქის შესახებ" არ შეიცვლება, მათი პარტია არჩევნებში მონაწილეობას არ მიიღებს. **"შემოდგომაზე დიდი ბრძოლა გველის, რადგან საარჩევნო კოდექსში ცვლილებებია შესატანი. თუ უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი პრინციპი დამტკიცდება, ანუ, თუ პირველ ადგილზე გასული პარტია ყველა ადგილს წაიღებს, არჩევნებში მონაწილეობას აზრი არ ექნება და ჩვენ ამ პროცესს გავემიჯნებით. სავარაუდოდ, იგივეს გააკეთებენ სხვა ოპოზიციური პარტიებიც,"** - ასეთია ზვიად ძიძიგურის პოზიცია.

თუმცა, სულაც არ არის გამორიცხული, რომ მეტ-ნაკლებად სერიოზულმა ოპოზიციურმა პარტიებმა საკუთარი პოზიცია შეცვალონ და საკრებულოების არჩევნებში საკუთარი ძალები მოსინჯონ. ეს, უპირველეს ყოვლისა, "რესპუბლიკელებს", "ახალ მემარჯვენეებს" და "კონსერვატორებს" ეხება.

ხელისუფლებას კი ოპოზიციის შესაძლო ბოიკოტი სულაც არ აშინებს.

**"არჩევნების ჩატარებას საფრთხე არ დაემუქრება, მიუხედავად იმისა, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ოპოზიცია. ჩვენ ოპოზიციას შევთავაზეთ დემოკრატიული ცვლილებების პაკეტი და გვსურს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ნორმალური დისკუსია გავმართოთ. მზად ვართ, გავითვალისწინოთ ოპოზიციის კონსტრუქციული შენიშვნები, მაგრამ თუ ისინი დიალოგზე არ წამოვლენ, ეს, უბრალოდ, ახირება იქნება და სხვა არაფერი. სხვათა შორის, არა მგონია, რომ ოპოზიციამ ბოიკოტთან დაკავშირებით რაღაც ერთიან შეთანხმებას მიაღწიოს. ისე კი, ერთი-ორი პარტიის პოზიცია არაფერს შეცვლის, რადგან საკრებულოში ბევრი პოპულარული პოლიტიკური ძალაა, რომელბიც არჩევნებში მონაწილეობისთვის მზად არის,"** - აცხადებს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკის, თვითმმართველობისა და მთიანი რეგიონების კომიტეტის თავმჯდომარე ედვარდ სურმანიძე.

*24 საათი*

## ვარსკვლავების დიალოგი

### უბრალოდ, კარგი დასაწყისი

ვერა ნეფარიძე

*"დაიმახსოვრე, ეს არის განსაკუთრებული მომენტი", - ბობი კოლომბის რჩევა, რომელიც ფილარმონიის სტუმრებს მოგვცა, მეტად ზუსტი იყო. "განსაკუთრებულ მომენტში" "კოკა კოლას ჯაზ-ფესტივალის საგანგებო სტუმარი გულისხმობდა იმ იშვიათ შემთხვევას, როდესაც სცენაზე მხოლოდ ვარსკვლავები არიან. დევიდ სენბორნი და მისი "ოლ სტარ ბენდის", დონ ელაიასის, ტერი-ლაინ ქერინგტონის, კრისტიან მაკბრაიდისა და გილ გოლდშტეინის თანამშრომლობა ლონდონის კონცერტის შემდეგ მეორედ თბილისელებმა დააგემოვნეს.*

ბობი კოლომბის მისია ფესტივალზე მხოლოდ კარგი რჩევით არ ამოწურულა. თავის ძირითად მიზნებს საპატიო სტუმარი ამ დღეებში მიხედავს. გუშინ კი მან კიდევ ერთი სერიოზული განაცხადით მიმართა ფილარმონიის აუდიტორიას:

გაგრძელება A8 გვერდზე



*დევიდ სენბორნი.*

## დუისის სპეცოპერაციის საზოგადოებრივი ექო

*გუშინდელი სპეცოპერაციის შემდეგ პანკისის ხეობაში, ერთი შეხედვით, სტაბილური ვითარებაა. თუმცა, ხეობაში ჯერ კიდევ რჩება შს სამინისტროსა და შს კახეთის მთავარი სამმართველოს სპეცდანიშნულების რაზმის ნაწილი, რათა ვითარების შესაძლო გართულებისას მობილიზებული იყოს.*

თამარ კაციტაძე

მკვლელობის მცდელობისთვის ძებნილი ავანდილ გუმაშვილის დასაპატიმრებლად 3 ივლისს სოფელ დუისში სპეცოპერაცია ჩატარდა. სამართალდამცველებსა და ბრალდებულს შორის დაწყებული ორმხრივი სროლა, რომელიც სოფლის მოსახლეობამაც გააპროტესტა, საბოლოოდ ძებნილის და მისი ბიძაშვილის ვახტანგ გუმაშვილის მკვლელობით, სპეცრაზმის მიერ ოთხი მშვიდობიანი მოქალაქის დაჭრით და ერთი სპეცრაზმელის სხეულის დაზიანებით დასრულდა.

**"ამჟამად სპეცრაზმი სოფლის განაპირას არის განლაგებული. რა თქმა უნდა, მოსახლეობა მათ მიმართ აგრესიულად არის განწყობილი, რადგან დაღუპული გუმაშვილი ყველას უყვარდა. ეს ადამიანი არანაირ კრიმინალურ ქმედებაში არ იყო შენიშნული და, უბრალოდ, ოჯახის სიწმინდე დაიცვა. სწორედ ამან გამოიწვია ხალხის აღშფოთება. ველაპარაკე ზემდგომ ორგანოებს, მაგრამ ჯერჯერობით სპეცრაზმი სოფლის მისადგომებთან დარჩება. მე და უხუცესები ვაკეთებთ ყველაფერს, რათა მდგომარეობა არ გამწვავდეს,"** - განაცხადა დუისის გამგებელმა ჯარაფ ხანგოშვილმა.

ადგილობრივი მოსახლეობა კი საპროტესტო აქციებისთვის ემზადება, თუმცა მიცვალებულების დასაფლავებამდე თავს შეიკავებენ. დუისელები მიიჩნევენ, რომ ცხედრების დამარხვამდე აქციის გამართვა დაღუპულების სულების შეურაცხყოფაა. სამართალდამცველებმა ბიძაშვილების გვამები სპეცოპერაციის შემდეგ პროზექტურაში გადაიტანეს და ცხედრები ოჯახებს გუშინ საღამოს გადასცეს.

სპეცოპერაციამ, მოსალოდნელი საპროტესტო აქციების გარდა, პანკისის ხეობაში სხვა პრობლემაც წარმოშვა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## "კალატოზა" შსს-ს სქემას აპროტესტებს

*შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულმა "დანაშაულებრივმა სქემამ" იქ დასახელებული პიროვნებების პროტესტი გამოიწვია. "24 საათს" თავდაპირველად ტარიელ ონიანის მეუღლემ, დარეჯან ქარსელაძემ მომართა და კატეგორიულად უარყო დავით ქარსელაძესთან ნაცნობობაც კი, არათუ ნათესაური კავშირი; გუშინ კი გაზეთის რედაქციაში დავით ქარსელაძის ("კალატოზას") ადვოკატი მირიან ნიკოლაძე მოვიდა და მისი დაცვის ქვეშ მყოფის პოზიციის საზოგადოებისთვის გაცნობა გვთხოვა.*

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ვებ-გვერზე გამოქვეყნებულმა სქემამ დავით ქარსელაძის დიდი გაოცება გამოიწვია, ვინაიდან მასში მითითებული პიროვნებების უმეტესობას იგი ფიზიკურადაც არ იცნობს. მიუხედავად იმისა, რომ დავით ქარსელაძეს, რომელიც, ფაქტობრივად, არარსებული ბრალდების გამო იხდის სასჯელს, დღემდე პროტესტი არ გამოუთქვამს, აღნიშნული "სქემა" მისთვის იმდენად ცილისმწამებლური აღმოჩნდა, აღშფოთებას ვერ მალავს. ჩემი დაცვის ქვეშ მყოფის აზრით, ეს ყველაფერი მისი სახელის მიზანმიმართული დისკრედიტაციისთვის გამოიგონეს. ქარსელაძეს სურს, საზოგადოებას სიმართლე გააგებინოს და აღნიშნავს, რომ ტარიელ ონიანს იგი ფიზიკურადაც არ იცნობს, ხოლო სქემაში მითითებული ქალბატონი დარეჯან ქარსელაძე (ონიანის მეუღლე), მიუხედავად მისი გვარისა, არ არის ქარსელაძის ნათესავი და მათთან არანაირი კავშირი არ გააჩნია; მეტიც, მას არასოდეს შეხვედრია.

**- მოჭიდავეებთან კავშირზე რას ამბობს თქვენი დაცვის ქვეშ მყოფი?**

- რაც შეეხება მოჭიდავეებთან კავშირს, ის ფაქტი, რომ რევაზიშვილი ქარსელაძის მეგობარია, დასამალი არ არის. გამოქვეყნებულ ოპერატიულ ჩანაწერებში გაიჟღერა სწორედ ამ "მეგობრობის" ფაქტმა. იქ არსად არ არის ნახსენები, რომ ქარსელაძემ რაიმე იცის სადავო თანხასთან დაკავშირებით. თუ, მეგობრობა დანაშაულია?..

გაგრძელება A3 გვერდზე

## იტალიური მინი ქარხნები ფალსიფიკაციის წინააღმდეგ

*რამდენიმე თვეც და კახეთში, რთველთან დაკავშირებული ციებ-ცხელება დაიწყება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო და კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია ცდილობენ, გარკვეული შეღავათი გაუწიონ მევენახეებს და მეღვინეებს. კერძოდ, სოფლის მეურნეობის მინისტრი ფალსიფიკატორებს დაუნდობელ ბრძოლას უცხადებს, კახეთის გუბერნატორი კი ცდილობს, რომ შუამავლის როლი იკისროს და ყველა ფერმერს მინი საწარმოს შეძენაში და შეღავათიანი კრედიტების აღებაში დაეხმაროს.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი იმედს იძლევა, რომ ფალსიფიკაცია, რომელმაც ქართულ ღვინოს ბაზარი დააკარგვინა, ხოლო კახელ მევენახეს მოსავლის გასაღებაში ყოველწლიურად პრობლემებს უქმნის, აღმოიფხვრება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო, შესაბამის უწყებებთან ერთად, ობიექტებში და საწარმოებში რეიდებს ატარებს.

**"უნდა ითქვას, რომ ამ დროისთვის აქტიური, ყოველკვირეული მუშაობა მიდის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ. ფინანსურ პოლიციასთან ერთად დავდივართ რესტორნებში, ბაზრობებზე და ღვინის ქარხნებში, ვიღებთ ნიმუშებს. შედეგები არის ცუდი, ამოღებული ღვინოების 80 პროცენტი არ შეესაბამება იმ სტანდარტს, რაც დაშვებულია საქართველოში. ვიბრძოლებთ ყოველგვარი კომპრომისის გარეშე, რომ საქართველოში შესაძლებელი გახდეს ფალსიფიკაციის საბოლოოდ აღმოფხვრა,"** - აცხადებს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ფალსიფიკაციის პრობლემის მოგვარების პარალელურად, საქართველოს ხელისუფლება მინი ქარხნების დამონტაჟებას იწყებს. იტალიური კომპანია "ფერარი გროუპი", რომელსაც მრავალწლიანი გამოცდილება აქვს მინი ქარხნების დამზადებაში, თავისი ბიზნესით უკვე კახეთშიც შემოდის.

გაგრძელება A2 გვერდზე

## ამინდი

| | 5/07 | 6 /07 |
|---|---|---|
| თბილისი | 38 | 31 |
| ტყიბული | 32 | 22 |
| სოხუმი | 31 | 23 |
| გორი | 32 | 25 |
| ონი | 27 | 16 |
| ზუგდიდი | 33 | 26 |
| ახმეტა | 37 | 29 |
| სამტრედია | 35 | 26 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8175 |
| ევრო | 2.2050 |
| ბირვანქა სტერლ. | 3.2868 |
| რუბლი | 0.0636 |


| | |
|---|---|
| ამბები | A 2 |
| ამბები | A 3 |
| მონიტორინგი | A 4 |
| უცხოეთი | A 5 |
| სპორტი | A 6 |
| სხვადასხვა | A 7 |
| სხვადასხვა | A 8 |

# სასამართლო გადაწყვეტილებების გაცნობა სპეციალურ ვებ-გვერდზე იქნება შესაძლებელი

ნებისმიერი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებათა გაცნობა უახლოეს მომავალში სპეციალურ ვებ-გვერდზე იქნება შესაძლებელი. ამ პრაქტიკის დანერგვას უზენაესი სასამართლოს მიერ ინიცირებული ახალი პროექტი ითვალისწინებს, რომელიც განსახილველად რეფორმების და განვითარების ფონდს წარედგინა.

სასამართლო გადაწყვეტილებების ელექტრონული ვერსიის გაცნობა ჯერჯერობით მხოლოდ უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზეა შესაძლებელი, სხვა ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებების შესახებ ინფორმაციის მიღება კი მოქალაქეებს მხოლოდ ადგილზე მისვლის შემდეგ შეუძლიათ.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, მოქალაქეს საქართველოს ნებისმიერ რეგიონში სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების გაცნობა კომპიუტერის საშუალებით შეეძლება. ვებ-გვერდზე სასამართლოს გადაწყვეტილებები ისე იქნება განლაგებული, რომ სასურველი ინფორმაციის მოძიება არა მხოლოდ იურისტებს, არამედ ჩვეულებრივ მოქალაქეებსაც არ გაუჭირდეთ.

პროექტის თანახმად, პირველი ინსტანციის მოსამართლეებს საშუალება ექნებათ, ვებ-გვერდზე გაეცნონ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლოს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც უკვე გამოტანილია მსგავსი შინაარსის საქმეებზე.

*24 საათი*

# თბილისის აეროპორტის მშენებლობა ჭიანურდება

*თბილისის აეროპორტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მშენებლობა ჭიანურდება. კონტრაქტით გათვალისწინებული ვადის დარღვევისათვის, ლუქსემბურგის კომპანია "ჯი-თი-ეს" აეროპორტის მშენებლობაში მონაწილეობას აღარ მიიღებს.*

როგორც "თბილისის აეროპორტში" აცხადებენ, კომპანია "ჯი-თი-ესმა" შესაბამისი ფინანსური გარანტია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დღემდე ვერ წარუდგინა, ამიტომ, ქართულ მხარეს დღეიდან ურთიერთობა კონსორციუმის ერთ-ერთ წევრთან, "ჩელებისთან" ექნება.

"რესპუბლიკელი" პარლამენტარი ივლიანე ხაინდრავა თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობაზე ჩატარებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანიების რეპუტაციას საეჭვოდ მიიჩნევს. **"ძალიან ვწუხვარ, რომ ეკონომიკის მატყუარა მინისტრი ფინანსთა მინისტრი გახდა. რასაც თავის დროზე ვსაუბრობდით აეროპორტის ტენდერთან დაკავშირებით, პრაქტიკულად, ახდა კიდეც,"** - განაცხადა ოპოზიციონერმა დეპუტატმა ივლიანე ხაინდრავამ. მისი აზრით, თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მშენებლობის პროცესს "საფრთხე უკვე დაემუქრა". **"თითქმის ორი თვე გავიდა პროექტის პრეზენტაციიდან და, ჯერჯერობით, აეროპორტში არაფერი გაკეთებულა,"** - აღნიშნა მან. დეპუტატმა ივლიანე ხაინდრავამ რამდენიმე თვის წინ ეკონომიკის მაშინდელი მინისტრი და ამჟამად ფინანსთა მინისტრი ალექსი ალექსიშვილი აეროპორტის ტენდერის კანონდარღვევით ჩატარებაში დაადანაშაულა. მისი აზრით, აღნიშნულმა კონსორციუმმა კონკურსში ხელისუფლების ლობირების შედეგად გაიმარჯვა.

შეგახსენებთ, რომ აეროპორტის მშენებლობაზე გამოცხადებულ ტენდერში გამარჯვებული კომპანია სამინისტრომ მიმდინარე წლის მაისში გამოავლინა. თანამედროვე სტანდარტების აეროპორტის მშენებლობის უფლება მაშინ სამი კომპანიისგან შემდგარმა კონსორციუმმა მოიპოვა. ამერიკულ "ეი & ჯეის" აეროპორტის მართვა, თურქულ "ჩელების" პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა უნდა განეხორციელებინა, ხოლო ლუქსემბურგის "ჯი-თი-ესი" აეროპორტის მშენებლობასა და ინფრასტრუქტურაზე უნდა ყოფილიყო პასუხისმგებელი. გამარჯვებულ კონსორციუმს მშენებლობა მაისის ბოლოს უნდა დაეწყო და 12 თვეში დაესრულებინა.

ვინაიდან მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა, "ჯი-თი-ესი" სავარაუდოდ, კონსორციუმს გამოეთიშება, მის საქმეს კი თურქული კომპანია "ჩელები" შეითავსებს.

მაისში გამარჯვებული კონსორციუმი ვალდებულებას იღებდა, რომ მშენებლობას, ტენდერში მონაწილე სხვა კომპანიებთან შედარებით, ყველაზე ადრე - 12 თვეში დაასრულებდა და 62 მილიონი დოლარის ინვესტიციას განახორციელებდა. მაშინ კონსორციუმმა იმის ვალდებულებაც აიღო, რომ ააშენებდა სატვირთო ტერმინალს და განაახლებდა არსებულ ინფრასტრუქტურას, იზრუნებდა აეროპორტში დღეს დასაქმებული თანამშრომლების სოციალურ დაცვასა და სამუშაო ადგილების შენარჩუნებაზე. კონსორციუმს ახალი აეროპორტი 10.5 წლის ვადით მართვის უფლებით გადაეცა და ამ ხნის განმავლობაში იგი ვალდებულია, თავისი ძირითადი მომსახურებიდან მიღებული შემოსავლების 10 პროცენტი სახელმწიფოს გადაუხადოს.

აეროპორტის მშენებლობის უფლების მოსაპოვებლად კიდევ ორი კომპანია - "ტაკომი" და "ტავი" იბრძოდა.

*24 საათი*

# წინასწარი პატიმრობიდან ორი ბრალდებული გათავისუფლდა

"თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე ზედამხედველი პროკურორის მიხეილ ხორგუაშვილის, ისანი-სამგორის რაიონის პროკურორის დავით გაგნიძის, გამომძიებელ ბადრი გულიგაშვილის, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის მილერ ხარებავასა და დროებით დაკავების იზოლატორის ზედამხედველი პროკურორის თენგის ჭითაშვილის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას მოითხოვს.

"აღნიშნულმა პირებმა დაკავებული თანამდებობები დაუყოვნებლივ უნდა დატოვონ", - აცხადებს თუთბერიძე.

საქმე ისაა, რომ "თავისუფლების ინსტიტუტმა" ერთ კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეში სერიოზული დარღვევები აღმოაჩინა. სწორედ ამ საქმესთან ჰქონდათ შეხება ზემოთ ჩამოთვლილ ჩინოსნებს.

საქმე ეხება 1 ივლისს მეტროს სადგურის პატრულის თანამშრომლების მიერ დაკავებულ ედუარდ და რობერტ მარკოსიანების საკითხს. გუშინ თეა თუთბერიძემ დაკავებულთა საქმის თაობაზე ისაუბრა გენერალურ პროკურატურაში გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსთან ლაშა მაღრაძესთან ერთად.

"საქმისადმი გამომძიებელთა ზერელე დამოკიდებულების გამო, ბრალდებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობა სასამართლოში ვადის დარღვევით შევიდა. ბრალდებულები უკანონო პატიმრობაში 9 საათის განმავლობაში იმყოფებოდნენ", - განაცხადა ლაშა მაღრაძემ.

აღნიშნული ფაქტი "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენლებმა გამოავლინეს და, დაკავებულთა დაუყოვნებლივ გათავისუფლების მოთხოვნით, შესაბამის უწყებებს მიმართეს.

მარკოსიანებმა წინაწარი დაკავების იზოლატორი გუშინწინ ღამით დატოვეს. ისინი პოლიციისთვის წინააღმდეგობის გაწევის ბრალდებით იყვნენ დაკავებული.

*24 საათი*

# იტალიური მინი ქარხნები ფალსიფიკაციის წინააღმდეგ

პირველი გვერდიდან

კომპანიის პრეზიდენტმა ფრანჩესკო მარტინმა განაცხადა, რომ ყველა ფერმერს იტალიაში ასეთი სახის საკუთარი საამქრო აქვს. რამდენად გაამართლებს იტალიური მოდელი საქართველოში, ძნელი სათქმელია, რადგან ფერმერებში ვრცელდება ინფორმაცია, რომ ქარხნის მოწყობილობა და აპარატურა, რომელმაც სავარაუდოდ საათში 2 ტონა ყურძენი უნდა გადაამუშაოს, ხოლო წელიწადში 50 ათასი ბოთლი ღვინო დაამზადოს, ერთჯერადია. ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს კომპანიის პრეზიდენტი, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და კახეთის სამხარეო ადმინისტრაცია.

პრეზიდენტის რწმუნებულს კახეთის მხარეში პეტრე ცისკარიშვილს იმედი აქვს, რომ ბაზარზე ფხვნილებისგან და სპირტებისგან დამზადებულ ღვინოებს ბოლო მოეღება. **"ამის შემდეგ კახეთში გაჩნდება უფრო მეტი მეწარმე და ღვინის მწარმოებელი ფერმერი, კომპანია თუ კერძო პირი, რომლებიც ჩამოასხამენ ნატურალურ ღვინოს,"** - ამბობს პეტრე ცისკარიშვილი.

იტალიიდან საქართველოში 12 ასეთი მინი ქარხანა ჩამოიტანეს, აქედან თერთმეტი კახეთზე განაწილდა. მათი შეძენა კი ორწლიანი უპროცენტო სესხის საშუალებით მოხერხდა. ტექნიკის შესაძენად თანხის გადახდა მხოლოდ ორმა ფერმერმა შეძლო.



*მარჯვნიდან: მიხო სვიმონიშვილი, პეტრე ცისკარიშვილი და ფერმერი გურამ ბერიკაშვილი ახალ მოწყობილობას ათვალიერებენ.*

კახეთში მოქმედი ღვინის ქარხნების ხელმძღვანელებს, ფერმერთა ნაწილის მსგავსად, ნაკლებად სჯერათ, რომ სახელმწიფო ამ მინი დანადგარებით მოახერხებს შემოდგომაზე გლეხების ჩაწყნარებას. ბიუჯეტი მსხვილი საწარმოებისთვის ყურძნის შესაძენ სუბსიდიებს აღარ გამოყოფს, ქარხნებს კი ათასობით ტონა ღვინო ჯერაც არა აქვთ რეალიზებული.

სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი კი დარწმუნებულია, რომ მეღვინეობა-მევენახეობის პრობლემები მალე მოგვარდება.

# გორის რაიონში კრიმინოგენული სიტუაცია გამწვავებულია

*არასამთავრობო ორგანიზაციები გორში ხშირად აწყობენ შეხვედრებს სამართალდამცველებსა და საზოგადოებას შორის, სადაც სამართალდამცველებს უკეთესი მუშაობისკენ და მდგომარეობის გაუმჯობესებისკენ მოუწოდებენ.*

თეა თედლიაშვილი
*გორიდან*

4 ივლისს სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ინიციატივით, პროექტის ფარგლებში ("აქტიური მოქალაქე - ანგარიშვალდებული ხელისუფლება") მოეწყო შეხვედრა.

გორის რაიონში კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესება მწვავედ იგრძნობა. 3 ივლისს სოფელ მეჯვრისხევში საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე პავლე ჩიტიშვილი საკუთარი სახლიდან გამოიყვანეს და მოკლეს.

ხალხის მიერ პოლიციის წინააღმდეგ გამოთქმულ აზრებს შიდა ქართლის სამხარეო მთავარი სამმართველოს წარმომადგენელი გია გოგიჩაშვილი და გორის ქალაქის პოლიციის სამმართველოს წარმომადგენელი მიხეილ ხანიშვილი ისმენდნენ.

პლიციელებმა აღნიშნეს, რომ გორის რაიონში შექმნილი მძიმე სიტუაცია კადრების უკმარისობით არის გამოწვეული:

**"ჩვენ ჩავატარეთ არაოფიციალური გამოკითხვა სოფლებში, რათა გაგვერკვია, რამდენად ენდობა საზოგადოება პოლიციას. აღმოჩნდა, რომ გამოკითხულთა ასი პროცენტი პოლიციას და ადგილობრივ ხელისუფლებას უნდობლობას უცხადებს. გვინდოდა, შეხვედრაზე რაიონის ხელმძღვანელები მოსულიყვნენ, მაგრამ არც ერთმა მათგანმა არ ისურვა აქ მობრძანება. მოწვეულები იყვნენ, ასევე, სოფლის საკრებულოს თავმჯდომარეები, რატომღაც ამ საკითხმა არც მათი დაინტერესება გამოიწვია,"** - აღნიშნა "სამართლიანი არჩევნების" კოორდინატორმა ზურაბ ტიელიძემ.

**"დღესდღეობით პროფილაქტიკური ღონისძიებები აღარ ტარდება. პოლიციას, დამნაშავის დაჭერის გარდა, სხვა ბერკეტი არ გააჩნია. ოთხმოცდაათი პროცენტი დანაშაულს ეკონომიკური გაჭირვების გამო ჩადის. ხელისუფლებამ ხალხის დასაქმებაზე უნდა იზრუნოს,"** - განაცხადა სამხარეო სამმართველოს თანამშრომელმა გია გოგიჩაშვილმა.

პოლიციელები არ უარყოფენ, რომ რეგიონში დაძაბული კრიმინოგენული მდგომარეობაა. ამ მხრივ, სოფლებში სიტუაცია გაცილებით მძიმეა. **"ჩვენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიციალურად უკვე სამჯერ მოვთხოვეთ გამომძიებლების საშტატო განაკვეთის დამატება, რათა საქმეების დროულად გამოძიება მოხდეს,"** - ამბობს გოგიჩაშვილი.

მოქალაქე შალვა ცერცვაძე მიიჩნევს, რომ დაუსაქმებელი მოქალაქეები და დაყაჩაღებული ბიზნესმენები ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას ვერ გამოასწორებენ. **"რაც შეეხება სოფლებში პოლიციელთა ნდობას - საქმეები თვეების განმავლობაში დევს სამმართველოში, რაც, თავისთავად, მოსახლეობის უკმაყოფილებას იწვევს,"** - ამბობს შალვა ცერცვაძე.

# ბათუმი საკურორტო სეზონისათვის ემზადება

შორენა გოგიჩაიშვილი
ჭაბა ანანიძე
*ბათუმიდან*

ბათუმის სანაპირო სისუფთავით ჯერ ვერ დაიკვეხნის, თუმცა აჭარის გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამმართველოში გვაიმედებენ, რომ წელს, სანაპიროზე ნესვისა თუ საზამთროს ნარჩენებს აღარ შევხვდებით. მიზეზი სანაპირო ზოლის კერძო პირებზე პრივატიზაციის წესით გადაცემაა.

**"წლების განმავლობაში ქარისა თუ შტორმის შედეგად ბინძურდებოდა სანაპირო. დაბინძურებას ხელს უწყობდა მოსახლეობაც. სანაპიროს ნაგავსაყრელიდან თუ ჭოროხიდან შემოტანილი ან, თუნდაც, თურქეთიდან გადმოსული ნაგავიც ავსებდა. დამსუფთავებელი კი არავინ იყო. წელს ბათუმის პლაჟი მთლიანად, დაწყებული ნინოშვილის ქუჩიდან - იახტკლუბამდე, ტენდერში გამარჯვებულთათვის, ხუთი წლის ვადით, 37 სექტორად დაიყო. სატენდერო დებულებაში კი ჩადებულია კანონი, რომ სექტორის მფლობელი ვალდებულია, მიკუთვნებულ ტერიტორიაზე დაიცვას სისუფთავე,"** - განაცხადა სამმართველოს უფროსის მოადგილემ გოჩა ფირცხალაიშვილმა

საკურორტო სეზონისათვის სამზადისი აჭარის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებთან ერთად, სანაპირო ზოლის დასუფთავებით დაიწყეს. აჭარაში საკურორტო სეზონი ოფიციალურად 5 ივლისს გაიხსნება. პლაჟზე შაბათობის მოწყობა საზღვაო სეზონის დაწყებას უკავშირდება. დეპუტატები თვლიან, რომ დამსვენებლებს კომფორტულ გარემოს დაახვედრებენ. აღნიშნავდნენ იმასაც, რომ დამთავრდა პერიოდი, როცა ყალბი დაპირებებითა და პროპაგანდით ცდილობდნენ ტურისტების მოზიდვას. **"სამწუხაროდ, ადამიანებს დაავიწყდათ, რომ დედამიწა არის ჩვენი სახლი, სადაც ვცხოვრობთ. ძალიან სასიამოვნოა ამგვარი აქციების მოწყობა, რომელმაც სისტემატური ხასიათი უნდა მიიღოს,"** - აღნიშნა უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ლალი ზაქარაძემ.

ბათუმში, წლების განმავლობაში, პრობლემას დაბინძურებული სასმელი წყალი ქმნიდა. პრობლემა წელსაც მოუგვარებელია. თუმცა, კომპეტენტური პირები აცხადებენ, რომ ამ მხრივ საგანგაშო ამ დროისათვის არაფერია. გარემოს დაცვის სამმართველოში კი აცხადებენ, რომ წყლის პრობლემა აჭარაში მალე წარსულს ჩაბარდება, რადგან წყლის ახალი ავზები ჩაქვშიც გაკეთდება და მეჯინისწყალზეც.

# ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტი სასჯელაღსრულებით სისტემაში დარღვევებზე მიუთითებს

არასამთავრობო ორგანიზაციის "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" ინიციატივით წარმართული საზოგადოებრივი ორგანიზაციების კამპანიის შედეგად საქართველოს ხელისუფლებამ თანხმობა განაცხადა ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ანგარიშის გამოქვეყნებაზე. შეგახსენებთ, რომ ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტი საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მნიშვნელოვან დარღვევებზე მიუთითებს.

ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტმა საქართველოში წამების მდგომარეობის შესახებ მეორე ანგარიში გამოაქვეყნა, რომელიც 2004 წლის მაისამდე პერიოდს მოიცავს.

ორგანიზაციის ინფორმაციით, ანგარიშში ნათქვამია, რომ კომიტეტი გამოთქვამს წუხილს საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში პროგრესის არარსებობის გამო და მიუთითებს, რომ ციხეებში არსებული სავალალო მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობას და საერთაშორისო სტანდარტებს არღვევს.

როგორც "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წევრები განმარტავენ, ანგარიშში მოცემული მწვავე კრიტიკა სასჯელაღსრულებითი დეპარტამენტის ხელმძღვანელის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ორგანიზაცია საქართველოს ხელისუფლებას შესაბამისი რეაგირებისკენ მოუწოდებს.

*24 საათი*

### გასწორება

"24 საათის" 3 ივლისის ნომერში A1 გვერდზე გამოქვეყნებული წერილის "მოჭიდავეების ბუნტი: ვის რა შეეშალა და მომავალში ვინ რა უნდა ქნას" ავტორია გია ნოდია. სამწუხაროდ, ტექნიკური მიზეზების გამო ავტორის გვარი მითითებული არ არის.

რედაქცია ბოდიშს უხდის ავტორს და მკითხველს.

### ორი სიტყვით

**თბილისი.** თბილისის პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა ავტომანქანების გატაცებაში ეჭვმიტანილი ორგანიზებულ-დანაშაულებრივი ჯგუფის შვიდი წევრი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში განაცხადეს, დაკავებულები არიან - გიორგი ალიმბარაშვილი, ჯემალ მჭედლიძე, ზაზა თურმანიძე, დავით ქიტესაშვილი, დავით კეკვიაშვილი, ბესიკ თურმანიძე და თამაზ შევარდნაძე. პოლიციის თანამშრომლებმა ეჭვმიტანილები მაშინ აიყვანეს, როდესაც მათ გატაცებული ავტომანქანა "ბმვ" მოქალაქე გიორგი სულაბერიძეს ჯერ მიჰყიდეს და შემდეგ მოპარეს. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**დმანისი.** დმანისის რაიონის სოფელ ჯავახში გუშინ მკვლელობა მოხდა. როგორც დმანისის პოლიციის უფროსის მოადგილე თემურ მენაბდე აცხადებს, ურთიერთშელაპარაკებისას ვალიკო ასლამაზაშვილმა თანასოფლელ სულიკო ანდიაშვილს დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ანდიაშვილი ადგილზე გარდაიცვალა. მკვლელობაში ეჭვმიტანილი ასლამაზაშვილი სამართალდამცველებმა უკვე დააკავეს. მას პოლიციისთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საბრძოლო მასალის უკანონო შენახვისთვის პოლიციამ ქურდული სამყაროს ერთ-ერთი ლიდერი, 35 წლის ლევან ბოგველი დააკავა. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ბოგველის სახლიდან სამართალდამცველებმა ამოიღეს ავტომატის - 6, პისტოლეტ "მაკაროვის" - 4 და პისტოლეტ "ლუგერის" 5 ვაზნა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი** პოლიციელთათვის წინააღმდეგობის გაწევისა და იარაღის უკანონოდ ტარებისთვის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა დააკავეს ქურდული ტრადიციების მიმდევარი, წარსულში ნასამართლევი, 31 წლის ბესარიონ ხიდურელი - მეტსახელად "რაიბული". როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, დაკავებისას ხიდურელმა წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას, გადახტა საცხოვრებელი სახლის მეორე სართულის აივნიდან და ორივე ფეხი მოიტეხა. ხიდურელისგან პოლიციამ საფანტის პისტოლეტი და თვითნაკეთი რევოლვერი ამოიღო. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ქალაქ ფოთში, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, მამუკა ბურსალია დააკავეს. დაკავებულის კუთვნილი ავტოფარეხიდან სარეალიზაციოდ გამზადებული დიდი ოდენობით უაქციზო სიგარეტი ამოიღეს. როგორიც სამეგრელო-ზემო სვანეთის ფინანსური პოლიციის უფროსი კახა კაკაბაძე აცხადებს, მიმდინარეობს გამოძიება და დგინდება, ვის მიერ იყო შემოტანილი ეს სიგარეტი. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ისანი-სამგორის რაიონს ელექტრომომარაგება შეუწყდა. როგორც "ინტერპრესნიუსს" "სახელმწიფო ელექტროსისტემაში" განუცხადეს, ჯერჯერობით დაუდგენელი მიზეზების გამო, ავარიულად გამოირთო ნავთლუღის ქვესადგური, რამაც დედაქალაქის ელექტრომომარაგება დაახლოებით 20 მეგავატით შეზღუდა. როგორც კომპანიაში აცხადებენ, სპეციალისტთა ჯგუფი გასულია ქვესადგურზე მომხდარი ავარიის ლიკვიდაციისთვის. ლიკვიდაციისთანავე, გამორთული აბონენტების ელექტრომომარაგება განახლდება. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "თბილგაზის" აქციონერთა კრება 21 ივლისისთვის დაინიშნა. აქციონერთა კრებამ "თბილგაზის" 2004 წლის ბალანსი უნდა განიხილოს, კომპანიის წესდებაში ცვლილებები შეიტანოს და საკადრო ცვლილებები განახორციელოს. "თბილგაზის" სამეთვალყურეო საბჭომ აქციონერს - თბილისის მერიას დირექტორატის შექმნის იდეა 28 ივნისს შესთავაზა. 5-კაციანი დირექტორატი კომპანიაში მმართველობის ფუნქციებს და პასუხისმგებლობას გადაინაწილებს. მერიის პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სავარაუდოდ, 21 ივლისს გახდება ცნობილი."თბილგაზის" აქციონერთა კრება 28 ივნისს გაიმართა, თუმცა იმის გამო, რომ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით საბოლოო პოზიცია არ არსებობდა, კრება 21 ივლისისთვის გადაიდო. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** აჭარის ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტრო 5 ივლისს საპრივატიზაციო ობიექტების აუქციონს ჩაატარებს. გასაყიდად გამოსატანი 11-ვე არასაცხოვრებელი ფართი ქალაქ ბათუმში მდებარეობს. მათ შორის ყველაზე ძვირად ჯავახიშვილის ქუჩაზე მდებარე კაპიტალური შენობის პირველი სართულია შეფასებული. 445, 55 კვ.მ-ის საერთო ფართის მქონე ობიექტის ღირებულება 72 079 დოლარია. 21 016 აშშ დოლარადაა შეფასებული .ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე ორსართულიანი შენობის პირველი სართული, რომლის საერთო ფართი 22 კვადრატული მეტრია. რაც შეეხება წერეთლის ქუჩა N1-ში მდებარე არასაცხოვრებელ ფართს, მისი შეძენის მსურველებს 15 126 აშშ დოლარის გადახდა მოუწევთ. **ჯი-ეიჩ-ენი**

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ნატო-ს საქართველოსთან შენიშვნები აქვს

პირველი გვერდიდან

იყოს, უადგილოა, რადგან ესტონეთი, რუსეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, ნატო-ს წევრი მაინც გახდა.

ჰარი ტიიდოს მოსაზრებით, ნამდვილად სამწუხაროა საქართველოში "ემოციური" მოვლენები. ის, რაც რამდენიმე დღის წინ საქართველოს პარლამენტში და რუსთაველის გამზირზე მოხდა. **"ემოციებით ხომ ხარისხიანს ვერაფერს შექმნი,"** - აღნიშნავს ნატო-ში ესტონეთის ელჩი.

პრობლემატურია, ასევე, საქართველოში თავდაცვის სისტემა. ყველაზე მკაფიოდ კი ისმის კითხვა, თუ რატომ ყიდულობს სახელმწიფო ასე დიდი ოდენობით შეიარაღებას. **"არ არსებობს შეიარაღების შესყიდვის ნორმალური პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებდა მომავალში ამ შეიარაღების მომსახურებას. ამის გარეშე კი დღევანდელი ხარჯები, მომსახურების გამო, კიდევ უფრო გაიზრდება,"** - ამბობს ჰარი ტიიდო.

ასევე მნიშვნელოვანია ფაქტი, რომ საქართველოს საკმაოდ დიდი ამბიციები აქვს საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. **"აქაც, უცნობია, თუ რამდენად არის გათვალისწინებული შესაძლო ხარჯები,** - აღნიშნავს ჰარი ტიიდო, - **იგეგმება თუ არა ეს ხარჯები უფრო ხანგრძლივ ვადებზე გათვლით საიმისოდ, რომ ჯარი გარდაიქმნას და უფრო თანამედროვე გახდეს?"**

**"ნატო-ს თითქმის ყველა ახალი წევრის პრობლემა ისაა, თუ როგორ შეცვალონ შეიარაღებული ძალები, გახადონ ისინი უფრო ოპერატიული, მობილური, მოქნილი. და თანაც, უფრო მცირერიცხოვანი, იმიტომ, რომ "ზედმეტი" ფული არავის აქვს,"** - აცხადებს ელჩი.

მისი თქმით, **"ნატო არ იძლევა მითითებებს, როგორი უნდა იყოს ჯარი. ნატო იმას უყურებს, მოაქვს თუ არა სარგებელი ჯარს კოლექტიური ამოცანების შესრულებისათვის. თუ ქვეყანას საკმარისი თანხები აქვს, მას თავისუფლად შეუძლია ისეთი ჯარი ჰყავდეს, როგორიც სურს - კლასიკური შეიარაღებული ძალები, ტერიტორიული თავდაცვის კონცეფციის თანახმად, და კორპუსიც ნატო-ს კოლექტიური ოპერაციებისთვის. თუმცა, ახალი წევრების უმრავლესობას საამისო თანხები არ გააჩნია."**

*რუსული ვერსია - tume.blogspot.com*
*24 საათი*

# დუისის სპეცოპერაციის საზოგადოებრივი ექო

პირველი გვერდიდან

**"დღეს პანკისში სიმშვიდეა, თუმცა, ქისტური ტრადიციიდან გამომდინარე, გვარებს შორის შურისძიების რეალური საშიშროება არსებობს,"** - თქვა გამგებელმა.

საქმე ის გახლავთ, რომ ავთანდილ გუმაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის და შემდეგ მისი ლიკვიდაციის მიზეზი ვინმე მარგოშვილის ფეხის არეში დაჭრა გახლავთ. როგორც დუისელები ამბობენ, გუმაშვილს მარგოშვილთან ძველი მტრობა აკავშირებდა.

**"მარგოშვილმა რამდენიმე წლის წინ გუმაშვილის ცოლი გააუპატიურა, რის გამოც, ქმარი მარგოშვილს წლების განმავლობაში მოსაკლავად ეძებდა. ცოტა ხნის წინ გუმაშვილმა მარგოშვილს თელავში მიაგნო. მასთან ოჯახში მოსაკლავად მისულს მისი მცირეწლოვანი შვილები შეეცოდა და ავტომატი ფეხში ესროლა, მარგოშვილმა კი გუმაშვილს პოლიციაში უჩივლა,"** - ამ ისტორიას დუისში ჰყვებიან და სჯერათ, რომ ეს გვარებს შორის სისხლისღვრას გამოიწვევს.

**"რასაკვირველია, დანაშაულთან ბრძოლა სახელმწიფოს უმთავრესი ფუნქციაა, მაგრამ ის, რაც ამ ბოლო დროს საქართველოში ხდება, არაპროფესიონალიზმია, რომელიც საფრთხეს უქმნის მოსახლეობას. დუისში ჩატარებული სპეცოპერაციის დროს ხელისუფლებამ ზედმეტი ძალა გამოიყენა. ეს იყო კუსტარულად, აბსოლუტურად ხისტად და არაპროფესიონალურად ჩატარებული ოპერაცია"**, - განაცხადა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ კოკა გუნცაძემ.

დუისის ფაქტთან დაკავშირებით კიდევ უფრო რადიკალურია არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი თეა თუთბერიძე:

**"ეს იყო ამაზრზენი ფაქტი. როცა სპეცოპერაციას ეწირება ოთხი უდანაშაულო ადამიანი, იჭრება თავად სპეცრაზმელი, სახლში აგდებენ ბომბს და წვავენ, კლავენ დასაჭერ ობიექტს, ამას ხომ ჩვეულებრივი ადამიანიც გააკეთებს; მაშინ რაში სჭირდება სახელმწიფოს ეს ხალხი?! ეს იყო არაპროფესიონალიზმის გამოვლინება და მეტიც - პოპულიზმი. ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ სამართალდამცველები ტელევიზიების წინ კეკლუცობდნენ და სულ ერთი იყო, რა შედეგით დასრულდებოდა სპეცოპერაცია; მთავარი იყო, მათი გაგებით, გამარჯვებით დასრულებულიყო. დამნაშავეთა წინააღმდეგობას პოლიცია არ უნდა დანებდეს, მაგრამ ამას პროფესიონალიზმი სჭირდება, მით უმეტეს, უნდა გაითვალისწინონ, რომ ასეთი ქმედებით საზოგადოებისგან ცუდ დამოკიდებულებას იმსახურებენ. ამიტომ, უნდა გაირკვეს, რა იყო ასეთი სპეცოპერაციის მიზეზი და უნდა დადგეს მისი ხელმძღვანელი პირების პასუხისმგებლობის საკითხი".**

საზოგადოების დამოკიდებულების მიუხედავად, როგორც ჩანს, შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეცოპერაციის შედეგით კმაყოფილია და პასუხისმგებლობის მოხსნას მხოლოდ ორი დაჭრილის მკურნალობის თანხების დაფარვით ცდილობს.

# "კალატოზა" შსს-ს სქემას აპროტესტებს

პირველი გვერდიდან

**- სამართალდამცველთა ინფორმაციით, დავით ქარსელაძე გზის გადაკეტვას ციხიდან მართავდა...**

- მიუხედავად გავრცელებული ინფორმაციისა, თითქოს სამართალდამცველებს აქვთ სატელეფონო საუბრების ჩანაწერები, სადაც ჩანს, ქარსელაძე როგორ მართავს პიკეტს, შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ასეთი ჩანაწერი არ არსებობს. ამდენად, გიგი უგულავს მიერ გავრცელებული ინფორმაცია წარმოადგენს ცილისწამებას, რის გამოც, ჩვენ შესაბამისი პასუხისმგებლობის საკითხს დავსვამთ.

სწორედ ასეთმა განცხადებებმა გაგვიჩინა საფუძვლიანი ვარაუდი იმისა, რომ ყოველივე ეს მიზანმიმართულად ხორციელდება; მით უმეტეს, რომ ქარსელაძის უფლებების დარღვევა დღეს არ დაწყებულა. ჯერ ერთი, 2005 წლის მაისის თვეში დავით ქარსელაძეს, საქართველოს კანონმდებლობით, ეკუთვნოდა პირობით ვადამდე გათავისუფლება. თუმცა, დღემდე სამართალდამცავი და სასამართლო ორგანოები, საქართველოს კონსტიტუციისა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის უხეში დარღვევით, იგნორირებას უკეთებენ თვით სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ კანონიერად დაყენებულ მოთხოვნას და მას არ ათავისუფლებენ; გარდა ამისა, რუსთაველზე მომხდარი მოვლენების შემდეგ ქარსელაძეს უსაფუძვლოდ შეეცვალა სასჯელის მოხდის რეჟიმი. მიუხედავად იმისა, რომ იგი, დიდი ხანია, რაც მსჯავრდებულია, №7 საპყრობილეში გადაიყვანეს. ამის გამო, ბრალდებულმა წერილობით მიმართა სახალხო დამცველს სოზარ სუბარს, მაგრამ ომბუდსმენს არანაირი რეაგირება არ მოუხდენია.

ჩვენ ვაპირებთ, რეგირება მოვახდინოთ ყველა უკანონობაზე, რაც ბოლო პერიოდში ქარსელაძის გარშემო დატრიალდა. ჩვენ ვაპირებთ სასამართლოში სარჩელის შეტანას და გიგი უგულავას პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას. ამასთან, დავსვამთ შს სამინისტროს შესაბამისი მუშაკების პასუხისმგებლობის საკითხს, რადგან მათ მიზანმიმართულად გამოაქვეყნეს ცრუ მონაცემები (სქემა). ხოლო თუ მათ მიერ შედგენილი დანაშაულებრივი კავშირების სქემა, მათივე წარმოდგენით, საფუძვლიანია, მაშინ ისინი პასუხს აგებენ ოპერატიული მასალის გახმაურებისთვის, რის შედეგადაც "დამნაშავეთა" დაკავება არ განხორციელდა, მითითებული სქემის გამოქვეყნების და მათი წინასწარი გაფრთხილების გამო.

# Exxon Mobil-მა ბათუმში პირველი ტანკერი დატვირთა

შორენა ბოგირაიშვილი
ჭაბა ანანიძე
*ბათუმიდან*

*ტანკერი ბათუმის იმ ნავთობტერმინალიდან გავიდა, რომელიც 1878 წლიდან ფუნქციონირებს, და ამჟამად ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე საწარმოს წარმოადგენს, რომლის მეშვეობით აზერბაიჯანიდან, ყაზახეთიდან და თურქმენეთიდან მსოფლიოს ბაზარზე დღეში 180 000-ზე მეტი ბარელი ნედლი ნავთობი და გადამუშავებული ნავთობპროდუქტები იტვირთება.*

მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ნავთობკომპანია Exxon Mobil-ი ბათუმის ნავთობტერმინალის პარტნიორი ხდება, რასაც ჯერ კიდევ 2004 წლის 2 ნოემბერს, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ოფიციალურ მხარდაჭერას უცხადებდა. აქედან, სულ რაღაც, ორ დღეში, 2004 წლის 4 ივნისს, Exxon Mobil-აზერბაიჯანი ხელს აწერს ხუთწლიან ხელშეკრულებას "აზერტრანსთან" და ბათუმის ნავთობტერმინალთან. ნედლი ნავთობით დატვირთული პირველი ვაგონ-ცისტერნა ბათუმის ნავთობტერმინალში პირველად 16 ივნისს შემოდის და 2005 წლის 2 ივლისს გადის კიდეც ბათუმიდან - თარიღის დაკონკრეტება შემთხვევითი არ არის, რადგან ბათუმის ნავთობტერმინალის თავმჯდომარის თქმით, ეს თარიღი ისტორიული მნიშვნელობისაა. **"დაახლოებით 24 საათში გემი დაიტვირთება და ბათუმის პორტიდან გავა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა ისეთ დიდ კომპანიას, როგორიც Exxon Mobil-ია ბათუმის პორტიდან ტვირთი გადააქვს. ეს იმ ხუთწლიანი ხელშეკრულების დასაწყისია, რომლის მიხედვითაც ათი მილიონი ტონა ნავთობი ბათუმის ტერმინალის საშუალებით უნდა გადაიტვირთოს. ჩვენ ვამაყობთ Exxon Mobil-თან მუშაობით და ვაფასებთ საქართველოს მთავრობის, განსაკუთრებით, გარდაცვილილი ზურაბ ჟვანიას, პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელისა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის მხარდაჭერას,"** - განაცხადა იან ბონდე ნილსენმა და აღნიშნა, რომ ის ასევე მადლობელია პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა, რომლის ხედვამაც საქართველოს, როგორც ნავთობის ტრანსპორტირების მნიშვნელოვანი კვანძისადმი, ამ პროექტს რეალური სახე შესძინა. **"მე აგრეთვე მადლობა მინდა გადავუხადო ბათუმის ნავთობ-ტერმინალის მთელ პერსონალს, შესანიშნავ ადამიანებს, რომლებმაც დიდი ენერგია გაილეს და შეძლეს ტერმინალით უზრუნველეყოფა Exxon Mobil-ის ყველა მოთხოვნისა"**- ამბობს ნილსენი.

"ერთ - ერთი წარმატებული პროექტი" - ასეთ შეფასებას აძლევენ ხელისუფლების წარმომადგენლები აღნიშნულ მოვლენას. **"მიხარია, რომ დღევანდელი დღით დიდი დღეები იწყება. იმედი მაქვს, რომ არამარტო Exxon Mobil-ი, არამედ სხვა კომპანიებიც დაინტერესდებიან საქართველოს გზით. გამოცდილება დიდი გვაქვს საქართველოს რკინიგზიდან. დარწმუნებული ვარ, როგორც ბათუმის პორტისა და ტერმინალის, ისე საქართველოს რკინიგზის ერთობლივი ძალისხმევით მოხდა ამ პროექტის განხორციელება,"** - აღნიშნა ლევან ვარშალომიძემ. ტვირთის გადაზიდვის ზრდის ტემპებით საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის თავმჯდომარეც კმაყოფილია და ამბობს, რომ რკინიგზამ ბოლო ექვსი თვის მანძილზე ყველაზე დიდი ტვირთი გადაზიდა უკანასკნელ წლებთან შედარებით. **"მნიშვნელოვანი დღეა ბათუმის პორტის, საქართველოს რკინიგზის, მთლიანად, ქვეყნის გადაზიდვების ისტორიაში, რადგანაც მსოფლიოს ყველაზე დიდი ნავთობკომპანია Exxon Mobil-ი შემოემატა იმ დიდ ჯგუფს, რომელიც ადრე გადაზიდავდა ნავთობს საქართველოს რკინიგზის მეშვეობით,"** - განაცხადა დავით ონოფრიშვილმა.

Exxon Mobil-ი იმედოვნებს, რომ ის ამ ათწლეულის ბოლოსათვის საქართველოს პორტიდან - ბათუმიდან, აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერატიული კომპანიის (AIOC) ერთ-ერთი პროექტიდან წარმოებულ 70 მილიონ ბარელზე მეტი ნავთობის ექსპორტირებას მოახდენს.

ფოტორეპორტაჟები რადიო მწვანე ტალღის სტუდიიდან
ყოველ ორშაბათს 11-იდან 12 საათამდე რადიო-მოგზაურთა კლუბი „პროექტის ჰარმონია" და აშშ-ის საელჩოს დახმარებით შეგახვედრებთ საზოგადოებრივი კავშირების პროგრამის მონაწილეებს





My Sweet Home Chicago

წამყვანი: გაგა ჯობრონიძე
სტუმრები: ბესარიონ ხარძიანი - კუკ ტაის მფლობელი, დირექტორი, ტურისტული ბიზნესის წარმომადგენელი.
ნიკო ქვარაცხელია თბილისის საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების ინსტიტუტის, ტურიზმის კათედრის გამგე-ტურიზმის სპეციალისტი.

ბესარიონ ხარძიანი: ჩემი მასპინძლები ქართველი ამერიკელები იყვნენ, ჩემი მეგობრები. კვირაში ხუთი დღე ისინი „ამერიკელები" არიან, მაგრამ შაბათ-კვირას „ქართველებად" გარდაისახებიან. ჩიკაგო ამერიკის ბიზნესის ცენტრია, მაგრამ რა თქმა უნდა ეს ქალაქი ბლუზის და ჯაზის დედაქალაქიცაა. აქ არსებობდა ალ კაპონეს სახლ-მუზეუმიც, მაგრამ ამერიკელებმა გადაწყვიტეს ამ პიროვნების დავიწყება და მუზეუმი უკვე ხამი წელია ლიკვიდირებულია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით

ნიკო ქვარაცხელია: ჩიკაგო რომ მართლაც ამერიკის ბიზნეს ცენტრია, მაგრამ ის ასევე განთქმულია თავისი მუზეუმებით და საგამოფენო დარბაზებით. ახალი ჩასული იყო ჩვენი ჯგუფი და ერთ ერთმა ჩვენიანმა ავტობუსში დაკარგა საფულე საკმაოდ სოლიდური თანხით. გარკვეული პერიოდის შემდეგ მოვუყვანეთ პოლიციელმა და მიიტანა დაკარგული საფულე, რომელსაც ერთი ცენტიც არ აკლდა. თურმე ავტობუსში საფულე იპოვა მგზავრმა, გადასცა მძღოლს, ხოლო მძღოლმა მიიტანა პოლიციაში. პოლიციელმა კი დააბრუნა დანაკარგი. პიროვნებათა ამ ჯაჭვში არც ერთს არ მოსვლია აზრად რომ საფულე მიეთვისებინა.

ეკა კვესიტაძის სვეტი

# შეფასებების სრული პოლარიზაცია

ვაკელებო, ვაკელებო - ამ სიმღერას 30 ივნისს ტელე-მარათონზე მღეროდნენ. ამ სიმღერასა და იმავე საღამოს რუსთაველზე დაწყებული არეულობის დროს გამოსული პოლიტიკოსების თუ სხვა ცნობილი სახეების განცხადებებს შორის უხილავი კავშირი მაშინვე გაიბა - სიტყვებში "ქართველი კაცის ბუნება ამას ვერ იტანს" ნათლად იკითხებოდა - "ჩვენ თბილისელები, ვაკელები და მაგარი ბიჭები" ვერ მოვითმენთ, რომ ასე გვექცეოდნენ, მით უმეტეს - ახალციხელი ვანო მერაბიშვილი.

30 ივნისის საღამოს მოვლენებმა აზრებისა და შეფასებების სრული პოლარიზაცია მოახდინა. კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულიდან - ვანო მერაბიშვილის გმირად გამოცხადებას შორის გონივრული შუალედის დაკავება და მოვლენების ობიექტურად შეფასება საზოგადოებისათვის ცნობილი ადამიანებიდან ძალიან ცოტამ თუ შეძლო. გია ნოდიას წერილი, რომელიც გუშინ "24 საათში" გამოქვეყნდა (სამწუხაროდ, ავტორის გვარის მითითების გარეშე) ყველაზე ობიექტური შეფასებაა იმ მოვლენების, რომელზეც, ალბათ, კიდევ დიდხანს ვილაპარაკებთ. მაგრამ სამწუხაროდ, გია ნოდიას, დავით დარჩიაშვილის, ნოდარ ლადარიას და კიდევ სულ რამდენიმე ცნობილი ადამიანის გამოსვლების გარდა, საჯაროდ გაკეთებულ განცხადებებს შორის ადეკვატური შეფასებების მოსმენა ძალიან გაჭირდა.

მთავარი პრობლემა შეფასებების დროს პრიორიტეტების გამოყოფა და სწორი აქცენტების გაკეთება აღმოჩნდა და, რაც მთავარია - ფასეულობების სრული აღრევა. ის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ადამიანები გააგზავნა დემონსტრანტებთან გასამკლავებლად, რა თქმა უნდა, კანონის დარღვევაა. ასე რომ, იმ ადამიანებმა, დაწყებული პრემიერ-მინისტრიდან, დამთავრებული სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებით, რომლებიც ვანო მერაბიშვილს გმირს უწოდებენ და აპლოდისმენტებით ამკობენ, შინაგან საქმეთა მინისტრს ეს აუცილებლად უნდა შეახსნონ და ახსნა-განმარტება მოსთხოვონ. თუმცა იმ დღეს მთელი აქცენტის გადატანა მხოლოდ ამ დეტალზე, მიუხედავად მისი მნიშვნელობისა, აბსოლუტურად არასწორია და აღმაშფოთებელი იყო იმ მოვლენების ფონზე, რაც სასამართლოში მოხდა.

იმ დღეს, რატომღაც, ყველა მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევაზე ალაპარაკდა - თუმცა ისე, რომ არავის განუმარტავს, რაში გამოიხატებოდა კუნთმაგარი ბიჭების მიერ დაწყებული ძალადობისა და პატრულთან დაპირისპირების მშვიდობიანობა. ასე რომ, უფორმოების ჩარევა დემონსტრაციის დაშლაში, ძალადობრივი დემონსტრაციის ძალადობრივი აღკვეთა იყო ის ერთადერთი ადეკვატური პასუხი, რომელიც ხელისუფლებას შეეძლო ჰქონოდა.

ყველა ელოდა, რომ ახალი მემარჯვენეები, ლეიბორისტები, ეროვნულ-დემოკრატები თუ სხვა მივიწყებული პარტიები ამ ინციდენტიდან პოლიტიკური სარგებლის ნახვას შეეცდებოდნენ. ერთადერთი სიურპრიზი ოპოზიციის მიერ მოწყობილ შოუზე რესპუბლიკელების გამოჩენა და ლევან ბერძენიშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები იყო. წლების განმავლობაში ქართული სამოქალაქო საზოგადოების ამ ყველაზე თვალსაჩინო და ინტელექტუალი ლიდერისგან კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე საუბარი მაშინ, როცა ერთი სიტყვითაც არ უხსენებია სასამართლოში მომხდარი ვანდალიზმი და შალვა ნათელაშვილის გვერდით დგომა, ძალიან ბევრისათვის შოკისმომგვრელად მოულოდნელი აღმოჩნდა.

არის ძალიან ბევრი თემა, რომელზეც ცხარე პოლიტიკური დებატების გამართვა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. არის თემები, რომელზეც პოლიტიკურ პარტიებს სპეკულირება და ქულების დაწერა შეუძლიათ. მაგრამ არის ისეთი საკითხებიც, რომლითაც სპეკულირება ამორალური და ანტისახელმწიფოებრივია.

შევარდნაძის რეჟიმს მაშინ გამოეცალა საფუძველი, როცა ორმაგი სტანდარტები და კანონის წინაშე უთანასწორობა მთავარი კანონი გახდა. როცა ყველაფერზე მაღლა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებისაგან შექმნილი კლანების არაკანონიერი ინტერესები დადგა, "დანარჩენები" კი თამაშგარეშე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ.

დღეს ხელისუფლების მიმართ მთავარი პრეტენზია სწორედ ამ ორმაგი სტანდარტების თამაშის გაგრძელება და შერჩევითი სამართალია, თუნდაც შევარდნაძის რეჟიმის გადმონაშთების მიმართ. საზოგადოების ზეწოლა ხელისუფლებაზე სწორედ ამ მიმართულებით უნდა გაგრძელებულიყო. ამიტომ, დღეს იმის მტკიცება, რომ "სპორტის გმირებს", თუნდაც დამნაშავეებს, ისე არ უნდა მოვექცეთ, როგორც "სხვა დანარჩენებს", რომ შოუ-ბიზნესის თუ სხვა სფეროში გამოჩენილ ადამინებს ან მათ ნათესავებს მეტი დაფასება ეკუთვნით, მეტი არაფერია, თუ არა ორმაგი სტანდარტების შენარჩუნებისთვის ბრძოლა.

დღეს კი ყველა მეტ-ნაკლებად პრივილეგირებული ელიტა თუ კლანი, გაცნობიერებულად თუ გაუცნობიერებლად, შესაძლოა, გადმოყოლილი ინერციითაც ამისათვის იბრძვის.

ხელისუფლების ჯანსაღი კრიტიკა დემოკრატიული საზოგადოების აშენების პროცესში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტია. დღეს კი, ხშირად, შთაბეჭდილება რჩება, რომ კრიტიკა თვითმიზანი და ელიტარული პოზა გახდა, რაც, პირველ რიგში, ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება. რადგან მაშინ, როცა საზოგადოებისთვის ანგარიშგასაწევი ძალა თუ ოპოზიციური პარტია ღირებულებებს თავდაყირა აყენებს და საკუთარი თავის დევალვაციას თავადვე ახდენს, პრეზიდენტისათვის უფრო ადვილი ხდება ყველაზე სამართლიან კრიტიკასაც კი საყვარელი სიტყვა "ყიყინი" უწოდოს.

# "წინ საქართველო" - კინოს სახლიდან ფილარმონიისკენ

ვერიკო თევზაძე

**"ერთის შემცირება და მისი ხელფასის მეორეზე გადანაწილება - ეს არის ადამიანებთან დაპირისპირება. დღეს ჩვენი ხელისუფლება ადამიანებთან დაპირისპირების პოლიტიკას ადგას. ეს სამარცხვინოა,"** - განუცხადა "24 საათს" სამოქალაქო მოძრაობა "წინ საქართველოს" ერთ-ერთმა ლიდერმა თემურ შაშიაშვილმა. მოძრაობა ახალი ინიციატივით გამოდის: იგი აპირებს ხალხის ნდობით აღჭურვილი ჯგუფების ჩამოყალიბებას, რომლებიც ბიუჯეტის ხარჯვას გააკონტროლებენ და საქართველოს მოსახლეობას საჯაროდ ამცნობენ, რაში ხარჯავს ხელისუფლება ფულს.

მოძრაობის მესვეურთა სასაუბრო სტილი, ტრადიციულად, პოპულისტური და რადიკალურია: **"ხალხმა რომ იცოდეს, როგორ და რისთვის იხარჯება ბიუჯეტი, პრეზიდენტის ფონდი, რა ჯდება ქუჩების გაკეთება და ფასადების მოწესრიგება, არათუ უარს იტყოდა ყველაფერ ამაზე, არამედ ასეთ ხელისუფლებას შეცვლიდა."**

კინოს სახლში გამართულ გუშინდელ კონფერენციაზე "წინ საქართველოს" წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი იწყებენ **"მწვავე საუბარს თითოეული ადამიანისთვის უმნიშვნელოვანეს პრობლემაზე - ბუნებით ბოძებული და კონსტიტუციით გარანტირებული სიცოცხლის დაცვის მდგომარეობა - საარსებო მინიმუმის პრობლემები საქართველოში."**

**"ხელისუფლება იტყუება, როცა ამბობს, რომ საარსებობო მინიმუმი 115 ლარია. თუ დამოუკიდებელ ექსპერტებს დავუჯერებთ, საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 250 ლარია,"** - აცხადებს შაშიაშვილი. მისი აზრით, ცალკე პრობლემაა ის, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებული ზოგიერთი პირი იმ 115 ლარსაც არ იღებს.

მოძრაობის მესვეურთა განცხადებით, "წინ საქართველო" კინოს სახლში დაწყებული მოძაობის პირველ ეტაპს დაასრულებს ოქტომბრის დასაწყისში, **"სავარაუდოდ, ფილარმონიის დიდ დარბაზში, სადაც საჯაროდ შეჯამდება ადამიანისათვის ბუნებით ბოძებული და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული, სიცოცხლის უფლების დაცვის მდგომარეობა."**

ენერგოსექტორის მონიტორინგი

*გაზეთი „24 საათი", „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრთან" ერთად, აწარმოებს ღია დისკუსიას საქართველოს ენერგოსექტორის მოწყობის, რეფორმირების, დარგში კორუფციის აღმოფხვრის გზების ძიების საკითხებზე. დარგის სპეციალისტებს და დამოუკიდებელ ექსპერტებს, ეკონომისტებსა და იურისტებს ვეპატიჟებით ჩვენს ღია დისკუსიაში მონაწილეობისთვის. შეგიძლიათ მასალები (აგრეთვე, ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც დარგისთვის მნიშვნელოვნად მიიჩნევთ) მოგვაწოდოთ გაზეთ „24 საათის" რედაქციის ეკონომიკის განყოფილებაში economics@24hours.ge (tel: 20-24-24) ან „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" ელექტრონულ ფოსტაზე energy@ecm.ge, ან დაუკავშირდეთ პროექტის ხელმძღვანელს ელექტრონულ მისამართზე maya_u@gol.ge.*

ECM ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი
Center of Economic Corruption Monitoring

The Eurasia Foundation
Georgia Office

ენერგეტიკაში მიმდინარე პროცესების მონიტორინგისა და ენერგორეფორმების საზოგადოებრივი მხარდაჭერის პროექტს „ენერგეტიკა – კორუფციის გარეშე" „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური დახმარებით, ფონდ „ევრაზიისგან" მიღებული გრანტის მეშვეობით ახორციელებს. მიუხედავად ამისა, პროექტის ფარგლებში გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლობის (USAID) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ოფიციალურ პოზიციას. მასალების შინაარსზე პასუხს „ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" აგებს.

# საქართველოდან თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი, ჭერჭერობით, ვერ განხორციელდა

თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი საქართველოდან გუშინ, გვიან ღამით, ქვესადგურ "დიდი ბათუმიდან" დაიწყო. თუმცა, ექსპორტი რამდენიმე საათში შეწყდა. ამის მიზეზი 220-კილოვოლტიანი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის "პალიასტომის" დაზიანება გახდა, რომელიც აჭარას ელექტროენერგიით ამარაგებს.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ალექსანდრე ხეთაგურის განმარტებით, ტექნიკური პრობლემების გამო თურქეთთან ქართულ მხარეს გართულებები არ შეექმნება და გადამცემი ხაზის აღდგენისთანავე ექსპორტი განახლდება.

"თურქეთთან ელექტროენერგიის გაცვლის შესახებ ხელშეკრულების ამოქმედება ქართული მხარისთვის მომგებიანია, რადგან თურქეთისათვის მიწოდებული ელექტროენერგია ქართულ მხარეს ზამთარში უკან დაუბრუნდება. თუ რუსეთიდან ელექტროენერგია საქართველოში 2,6 ცენტად, სომხეთიდან 2,7 ცენტად შემოდის. თურქეთიდან ბარტერის სახით შემოტანილი 1 კვტ/სთ ელექტროენერგიის ღირებულება 1,8 ცენტი დაჯდება," - განაცხადა ხეთაგურმა.

ელექტროენერგიის მიწოდება თურქეთ-საქართველოს შორის ხელშეკრულების საფუძველზე მოხდა, რომელსაც მხარეებმა ივლისში მოაწერეს ხელი. ხელშეკრულება ელექტროენერგიის ბარტერს ითვალისწინებს. თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტი გუშინ ღამით დაიწყო. ექსპორტი ზაფხულის განმავლობაში განხორციელდება. "აჭარის ენერგოკომპანია" კი თურქეთისგან 2005 წლის დეკემბრიდან 2006 წლის ივნისამდე 230 მილიონი კილოვატსაათ ელექტროენერგიას მიიღებს. 1 კვტ/სთ ელექტროენერგიაში ქართული მხარე თურქეთს 1,2 კვტ/სთ ელექტროენერგიას დაუბრუნებს. ამ პერიოდისთვის აჭარის მოსახლეობას 24-საათიანი ელექტრომომარაგება ექნება.

ელექტროგადამცემ ხაზ "აჭარის" საშუალებით თურქეთში 1 საათში 70 მეგავატი ელექტროენერგიის მიწოდება განხორციელდება. ამიტომ, "აჭარის ენერგოკომპანია" ვალდებულია, ივლისში "თურქეთის ელექტროენერგიის სავაჭრო და კონტრაქტების კომპანიას" 40 მილიონი კილოვატსაათი ელექტროენერგია მიაწოდოს.

# "თელასის" მოვალე საბიუჯეტო ორგანიზაციებს დავალიანების დასაფარად ექვსი დღე რჩება

"თელასის" მოვალე 1135 საბიუჯეტო ორგანიზაციას დავალიანების დასაფარად ექვსი დღე რჩება. ელექტრომომარაგების შესაძლო შეწყვეტის შესახებ გაფრთხილება საბიუჯეტო ორგანიზაციებს უკვე გაეგზავნათ. თუ მოვალეები დავალიანებას 11 ივლისამდე არ დაფარავენ, მათ ელექტრომომარაგება შეუწყდებათ.

საგადასახადო ინსპექციისგან დაყადაღებულმა "თელასმა" საბიუჯეტო ორგანიზაციების მიმართ სადამსჯელო ღონისძიებების განხორციელება 28 ივნისს გადაწყვიტა, თუმცა ფინანსთა სამინისტროსთან გამართული მოლაპარაკებების შემდეგ ყადაღის მოხსნის პირობა მიიღო და სადამსჯელო ღონისძიება ათი დღით გადადო.

დასასჯელ უწყებათა ნუსხაში მოხვდნენ: პრეზიდენტის ადმინისტრაცია, შინაგან საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციის, ენერგეტიკის, კულტურის და განათლების სამინისტროები, სააღსრულებლო და საზღვრის დაცვის დეპარტამენტები, საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველო, ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, ცენტრალური არქივი და სხვა.

ფინანსთა სამინისტრო და ფინანსური პოლიცია კომპანია "თელასის" ახალ მეპატრონეს "ეი-ი-ეს"-ის დროინდელ 3,6 მილიონი ლარის ოდენობის დღგ-ს დავალიანებას ედავება. აღნიშნული დავალიანება "თელასს" აღიარებული აქვს, თუმცა ორმხრივი შეთანხმების შედეგად, ვალი შეღავათიანი ვადებითა და პირობებით უნდა გადაიხადოს.

თავის მხრივ, 4,8 მილიონი ლარის ოდენობის დავალიანება "თელასის" მიმართ გააჩნია საბიუჯეტო ორგანიზაციებსაც. დასაფარია ლტოლვილების მიერ მოხმარებული 37 მილიონი ლარის ღირებულების ელექტროენერგიის საფასურიც.

# დიდი ლიახვის ხეობაში მდებარე "კეხვიჰესი", როგორც იქნა, ამუშავდა

*ამ რამდენიმე დღის წინ, კონფლიქტის ზონაში მდებარე ელექტროსადგური "კეხვიჰესი", რომლის შესახებაც "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრი" და "24 საათი" ინფორმაციას სისტემატურად გაწვდიდათ, ჩაირთო და ამჟამად 0,2 მეგავატ სიმძლავრეს გამოიმუშავებს.*

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური ელექტროსადგურის საქართველოს ელექტროქსელში ჩართვის ოფიციალურ ცერემონიალს პირადად დაესწრო.

მინისტრი იმედოვნებს, რომ ახლა კონფლიქტის ზონაში მდებარე ქართულ სოფლებს საშუალება ექნებათ, ელექტროენერგია ამ სადგურიდან მიიღონ. ახლა, როგორც სამინისტროში აცხადებენ, კეხვიჰესის მიერ გამომუშავებულ ელექტროენერგიას ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი აღრიცხავს, ხოლო "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" დიდი ლიახვის ხეობის სოფლებს მიაწვდის.

"კეხვიჰესის" მოიჯარე კომპანია "ვატი ლტდ"-ს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ჰესზე დაგეგმილი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჯერ ბოლომდე დასრულებული არ არის, თუმცა იგეგმება მათი გაგრძელება. კერძოდ, მიწისძვრებმა, წყალდიდობებმა და მეწყერებმა წლების განმავლობაში დააზიანა ჰესის წყალმიმღები და წყალგამყვანი არხები. ამ ეტაპზე აღდგენილია მხოლოდ წყალგამყვანი არხი. წყალმიმღები კი კვლავ სერიოზულ შეკეთებას საჭიროებს.

იმისთვის, რომ წყალმიმღები ნაგებობებიც შეკეთდეს, მისახედია წყალთა მეურნეობის კუთვნილი სათავე ნაგებობა, რომელიც სოფლებს სარწყავი წყლითაც ამარაგებს და, ამდენად, მისი აღდგენა ამ მოტივითაც აუცილებელია.

სხვათა შორის, ამის გამო, ენერგეტიკის სამინისტროს სადგურის რეაბილიტაციის პროცესში დონორთა დახმარებების გამოყენების იმედიც აქვს.

**"ადგილობრივ თვითმმართველობასთან არსებული კონფლიქტური სიტუაცია მოგვარდა. მიუხედავად ფორსმაჟორული სიტუაციისა, ჩვენ ჩვენი ვალდებულებები შევასრულეთ და ჰესის ერთი აგრეგატი ჩავრთეთ. შეიძლება, ზამთრის პირამდე მეორე აგრეგატიც ჩაირთოს,"** - აცხადებენ ჰესის მოიჯარეები.

ყოველ შემთხვევაში, ამჟამად ერთმეგავატიანი ჰესის ერთი - ნახევარმეგავატიანი ტურბინა გამართულია და წყლის ხარჯის მიხედვით, 0,2-დან 0,5-მდე მეგავატი სიმძლავრით მუშაობს.

**"მალე ისიც მოხერხდება, რომ რეგიონის განსაკუთრებით მნიშვნელოვანმა ობიექტებმა - საავადმყოფომ, სამშობიარომ და ა. შ. დენი სადგურიდან პირდაპირ მიიღოს,"** - აცხადებენ მოიჯარეები.

სახელმწიფოს "კეხვიჰესის" აღდგენაში ფინანსური მონაწილეობა არ მიუღია. სამაგიეროდ, მონაწილეობდა მოლაპარაკებებსა და კონფლიქტურ ზონაში მდებარე ჰესის მუშაობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის პროცესში. ახლა ელექტროსადგური პირდაპირ ხელშეკრულებას გააფორმებს "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიასთან" და გამომუშავებული დენის საფასურსაც პირდაპირ მისგან მიიღებს.

ცნობისათვის: "24 საათი" არაერთხელ წერდა, რომ "კეხვის" ჰიდროელექტროსადგურს ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში არ უმუშავია, რის გამოც, დიდი ლიახვის ხეობის ცხრა ქართული სოფელი ელექტროენერგიის გარეშე ხშირად რჩებოდა - ეს სოფლები, ელექტრომომარაგების თვალსაზრისით, წლების განმავლობაში ცხინვალის ხელისუფლებაზე იყო დამოკიდებული.

შეგახსენებთ, რომ დიდი ლიახვის 102-მა მცხოვრებმა "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრს" საგანგებო წერილით მიმართა, სადაც მოსახლეობამ ქვეყნისთვის გარკვეული პოლიტიკური დატვირთვის მქონე ჰესის ბედით სახელმწიფოს მხრიდან სრული დაუინტერესებლობის გამო საკუთარი პროტესტი გამოხატა.

პრობლემა ის იყო, რომ ელექტროსადგური, რომელსაც ხეობის ქართული სოფლების დენით უზრუნველყოფა შეეძლო, წლების განმავლობაში არ მუშაობდა.

ბუნებრივია, არსებობდა ეჭვი, რომ სადგურის გაჩერება ხელს კონკრეტულ დაინტერესებულ ჯგუფებს აძლევდა.

"კეხვიჰესის" პრობლემების შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით და იმის გასარკვევად, თუ რა ვითარებაა ამ საკითხთან დაკავშირებით, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" წერილებით მიმართა სემეკს, ენერგეტიკის სამინისტროს, საბითუმო ბაზარს, "საქართველოს გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" და "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას". გარდა ამისა, "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრმა" მოინახულა ელექტროსადგური და ვითარებას ადგილზეც გაეცნო. "ეკონომიკური კორუფციის მონიტორინგის ცენტრის" მიერ ჩატარებული წინასწარი გამოძიების შედეგებით გასულ თვეში სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი-2"-ც დაინტერესდა.

აი, რა დადგინდა მაშინ, გამოძიების შედეგად:

კეხვის ჰიდროელექტროსადგურის მუშაობა, რომელიც ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მდებარეობს, არა მარტო ეკონომიკურ, არამედ პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს.

დარღვეული ტერიტორიული მთლიანობის პირობებში დიდი და პატარა ლიახვის ხეობის ქართული სოფლები, რომელთა მოსახლეობამაც საკუთარი სახლების მიტოვებაზე უარი განაცხადა, ფაქტობრივად, ელექტროენერგიის გარეშეა დარჩენილი. ყოველ შემთხვევაში, მათი ელექტროენერგიით მომარაგება ოსური ხელისუფლების კეთილ ნებაზეა დამოკიდებული. ხეობაში 2 ათასზე მეტი აბონენტი საქართველოს ხელისუფლების დახმარებას ამაოდ ელოდა.

ჰესის ამოქმედების მოტივაცია არ ჰქონდა არც სადგურის მოიჯარეებს, რადგან მოშლილი ფინანსური ურთიერთობების პირობებში, საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზარი "კეხვიჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საფასურის მხოლოდ ნაწილის დაფარვას თუ შეძლებდა, რაც ფორსმაჟორულ ზონაში მდებარე ჰესის უსაფრთხო მუშაობისთვის არასაკმარისი იქნებოდა.

შეუძლებელი იყო დენის საფასურის პირდაპირ მოსახლეობიდან ამოღებაც. კონფლიქტურ რეგიონში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკითხი სრულიად მოუწესრიგებელი იყო და არ არსებობდა იურიდიული სუბიექტი, რომელიც მოსახლეობისგან დენის საფასურის აკრეფას კანონიერების ფარგლებში განახორციელებდა.

ერთი წლის წინ, ენერგეტიკის მინისტრმა, მთავრობის სხვა წევრების მსგავსად, კონფლიქტის ზონაში ჩასვლა და იქ ელექტრომომარაგების მხრივ არსებული პრობლემების მოგვარება გადაწყვიტა. "კეხვიჰესის" აგრეგატის რეაბილიტაციისათვის თანხები სამინისტრომ სახელმწიფო ბიუჯეტშიც გამოძებნა, მაგრამ, ზაფხულის ცნობილი მოვლენების გამო, კონფლიქტის ზონაში სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება შეფერხდა, რის გამოც, გასული ზამთარი ადგილობრივმა მოსახლეობამ სიბნელეში გაატარა.

ამასობაში, თავი იჩინა დამატებითმა პრობლემებმა. კერძოდ, იჯარით გაცემული "კეხვიჰესის" გაძლიერებისთვის თანხების დახარჯვა დონორებმა არ ისურვეს. ამის გამო, ენერგეტიკული პოლიტიკის წარმმართველ სტრუქტურას ჰესის რეაბილიტაციის მოიჯარეებთან მის რეაბილიტაციაზე მოუწია საუბარი.

ამასობაში, ხეობაში "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანია" შევიდა, რომელმაც რეგიონში ელექტროენერგიის საფასურის ამოღების საკითხის მოწესრიგება ითავა. აშენდა და გარემონტდა ელექტროგადამცემი ხაზები, რომელთა საშუალებითაც რეგიონი საქართველოს ელექტროქსელში ჩაერთო და მოსახლეობისთვის ქართული დენის მიწოდებაც შესაძლებელი გახდა. ახლა ლიახვის ხეობაში მცხოვრები აბონენტები ელექტროენერგიას უკვე "გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიიდან" იღებენ და კომპანიის იქაური თანამშრომლებისთვის ხელფასებსაც სადისტრიბუციო კომპანია გასცემს.

კომპანიაში აცხადებენ, რომ მალე რეგიონში დამონტაჟდება თანამედროვე ტიპის "ალფა-მრიცხველები" და აღრიცხვიანობის საკითხიც მოწესრიგებული იქნება. მით უმეტეს, რომ ჯერჯერობით, ნახევრადაღდგენილი "კეხვიჰესის" მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია ხეობებისთვის საკმარისი არ არის და, ამდენად, ხეობებს დენი დამატებით "ელექტროსისტემიდანაც" უნდა მიეწოდოს.

აგრეთვე, ახლა "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიაში" აცხადებენ, რომ დიდი ლიახვის ხეობის ქართული სოფლების ელექტრომომარაგების სხვა სქემასაც განიხილავენ, კერძოდ, რუსულ "რაოესთან" მოლაპარაკებას. თუ კომპანია "რაოესი" დათანხმდა და ხეობამ ვლადიკავკაზიდან აღრიცხული ელექტროენერგია მიიღო, მაშინ ელექტროენერგიით ხეობის რუსეთიდან მომარაგება შესაძლებელი იქნება.

# საქართველოსა და სომხეთს კიდევ ერთი მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი დააკავშირებს

*ენერგეტიკის მინისტრი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხის განსახილველად ერევანში მიემგზავრება.*

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი ნიკა გილაური 5 ივლისს ერევანს ეწვევა, სადაც სომხეთთან დამაკავშირებელი ახალი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის საკითხს განიხილავს.

ამჟამად, საქართველოსა და სომხეთის ენერგოსისტემებს სამი ელექტროგადამცემი ხაზი - "ლალვარი", "აშოცკი-ნინოწმინდა" და "ალავერდი" აკავშირებს. ამ ელექტროგადამცემი ხაზების შემდეგ, ახალი ხაზი მეოთხე იქნება, რომელიც საქართველოს ენერგოსისტემას სომხეთთან დააკავშირებს.

ე.წ. "გარდაბანი-რაზდანის" ელექტროგადამცემი ხაზი, წინასწარი გათვლებით, 10-12 მლნ აშშ დოლარი დაჯდება და ელექტროგადამცემი ხაზის "კავკასიონის" ალტერნატივის ფუნქციას შეასრულებს.

გადამცემი ხაზის მშენებლობის თანხებს, სავარაუდოდ, სახელმწიფო ბიუჯეტი სრულად დაფარავს. წინასწარი მონაცემებით, ახალი, "გარდაბანი-რაზდანის" 330-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზის მშენებლობა 10-12 მილიონი დოლარი დაჯდება. თუმცა, ეს ხაზი, მინისტრის განმარტებით, რატომღაც 400 მეგავატ ელექტროენერგიას გაატარებს.

ახალი ხაზის მშენებლობა, სავარაუდოდ, ერთ თვეში დაიწყება და 2006 წლის დასაწყისში დასრულდება. ამის შემდეგ, შესაძლებელი იქნება სომხეთიდან 400 მეგავატი სიმძლავრის იმპორტის განხორციელება, რაც ნიშნავს, რომ ახალ გადამცემ ხაზს "კავკასიონის" ჩანაცვლება შეეძლება.

# განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი, საიდენტიფიკაციო კოდი N202959780, მისამართი: 0102; თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის 2005 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში აცხადებს ღია ტენდერს სამედიცინო ობიექტებისათვის სამშენებლო სამუშაოების შესყიდვაზე და იწვევს მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს. სამშენებლო სამუშაოების შესყიდვა განხორციელდება შემდეგი ლოტების შესაბამისად:

ლოტი N1 - სს "ქუთაისის სამხარეო დედათა და ბავშვთა სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ცენტრში" მეხუთე სართულის, ქალთა კონსულტაციისა და გინეკოლოგიური განყოფილების სარემონტო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 20 დეკემბერი.
ლოტი N2 - ტუბერკულოზის ეროვნული ცენტრის ახალი კორპუსის სამშენებლო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 20 დეკემბერი.
ლოტი N3 - სს "ჩხოროწყუს რაიონული საავადმყოფოს" ადმინისტრაციული კორპუსის სასწრაფო დახმარების სადგურის აღდგენისათვის სარემონტო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 20 დეკემბერი.
ლოტი N4 - სს "ოფთალმოლოგიისა და ნევროლოგიის ეროვნული ცენტრის" ნეირორეაბილიტაციის განყოფილების სარემონტო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 20 დეკემბერი.
ლოტი N5 - სახელმწიფო სამედიცინო აკადემიის კლინიკური კორპუსის სარემონტო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 20 დეკემბერი.
ლოტი N6 - ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის პრაქტიკული ცენტრის სარემონტო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 20 დეკემბერი.
ლოტი N7 - ქ. თბილისში მრავალპროფილიანი კლინიკური საავადმყოფოს სამშენებლო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2007 წლის 25 მაისი.
ლოტი N8 - სამეგრელო-ზემო სვანეთის ცენტრალური სამხარეო ჰოსპიტლის სარემონტო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2006 წლის 25 მაისი.
ლოტი N9 - გორის რაიონული საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების სარემონტო სამუშაოები.
სამუშაოთა შესრულების სასურველი ვადაა 2005 წლის 20 დეკემბერი.

2. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ 2005 წლის 21 და 22 ივლისის 10:00-დან 18:00სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი.

3. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

3.1. იურიდიული პირისათვის:
ა) ტენდერში მონაწილე ორგანიზაციის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ბანკის რეკვიზიტები);
ბ) სასამართლოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ორგანიზაცია არის რეგისტრირებული;
გ) ცნობებს სასამართლოდან, რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია და არ მიმდინარეობს გაკოტრების ან სანაციის საქმე;
დ) ცნობას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
ე) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ მისი ხელმძღვანელი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.

3.2. ფიზიკური პირისათვის:
ა) ცნობას შესაბამისი უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;
ბ) ცნობას შესაბამისი კომპეტენტური ორგანოდან, რომ იგი უკანასკნელი 5 (ხუთი) წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და მოცემულ მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ ან სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის;
გ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

3.3. როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:
ა) ლიცენზიას შესაბამისი საქმიანობის განხორციელებაზე (ნოტარიულად დამოწმებული ასლი);
ბ) უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში შესრულებულ ან მოცემულ მომენტში მიმდინარე ანალოგიურ სამუშაოებზე(ქვემოთ მოყვანილი ფორმით) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | სამუშაოს დასახელება | შემსყიდველის დასახელება | ხელშეკრულების ღირებულება | შესრულებული სამუშაოს ტიპი | შესრულების ვადები |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| . | | | | | |

გ) სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო საწარმოო საშუალებებზე (მანქანა-მექანიზმები, მოწყობილობა-დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.) დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით:

| N | საწარმოო საშუალება | აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი | რაოდენობა | მდგომარეობა (ახალი, ნახმარი, მოძველებული) | საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შეძენილ იქნება (ვისგან) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | | | | | |
| 2. | | | | | |
| . | | | | | |

დ) ბოლო 3 (სამი) წლის ფინანსურ ანგარიშს დამოწმებულს ორგანიზაციის ხელმძღვანელის ხელმოწერით და ბეჭდით (იურიდიული პირისათვის - ბალანსები, ფიზიკური პირისათვის - დეკლარაციები);
ე) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების არ არსებობის შესახებ.
ვ) ტენდერში მონაწილის ძირითად ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავეთა კვალიფიკაცია და გამოცდილება

| N | თანამდებობა | გვარი, სახელი, მამის სახელი | მუშაობის საერთო გამოცდილება (წელი) | ანალოგიურ თანამდებობაზე მუშაობის გამოცდილება (წელი) |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| . | | | | |

ზ) სუბ-კონტრაქტორების მიერ განსახორციელებელი მიწოდება (საჭიროების შემთხვევაში):

| N | განსახორციელებელი მიწოდების სახე | სუბ-კონტრაქტის ფასი | სუბ-კონტრაქტორი (დასახელება, მისამართი) | სუბ-კონტრაქტორის მიერ ანალოგიური სამუშაოების შესრულების გამოცდილება |
|---|---|---|---|---|
| 1. | | | | |
| 2. | | | | |
| . | | | | |

4. იურიდიული და ფიზიკური პირი ვერ გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას თუ იგი ზემოთ დადგენილ ვადებში არ წარმოადგენს ყველა ცნობას და ინფორმაციას მოთხოვნილი ფორმით ან რომელიმე მათგანი ყალბი აღმოჩნდება.

5. ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

6. სატენდერო დოკუმენტაციის მიღება ტენდერში მონაწილე პრეტენდენტს 500 (ხუთასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ შეეძლებათ 2005წლის 1 და 2 აგვისტოს შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია ქართულ ენაზე.

7. ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იქნას 2005 წლის 22 აგვისტოს 17სთ-მდე მისამართზე: ქ. თბილისი, 0102, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს ერთი ალტერნატიული წინადადება. სატენდერო წინადადება ხელმოწერილი უნდა იყოს პრეტენდენტი იურიდიული პირის ხელმძღვანელის (ფიზიკური პირის) მიერ და დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით და წარედგინოს სატენდერო კომისიას დახურული კონვერტით. ტენდერის შედეგად შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

8. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ საკონტაქტო პირის - კობა ცხადაძისაგან, მისამართზე: ქ. თბილისი, ივ. ჯავახიშვილის ქუჩა N51, საქართველოს საავადმყოფოთა რესტრუქტურიზაციის ფონდი. ტელეფონები: 91-03-58; 899-90-75-82.

*სატენდერო კომისია*

# ბუში დიდი რვიანის სამიტზე კიოტოს ოქმს მხარს არ დაუჭერს

*"დიდი რვიანის" სამიტი, რომელსაც მთელი მსოფლიო ადევნებს თვალს, ოთხშაბათს შოტლანდიაში გაიხსნება და სამ დღეს გასტანს. მასპინძელმა ქვეყანამ, დიდმა ბრიტანეთმა სამიტის ორგანიზებისთვის 20 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოყო. პოლიტიკურ "გიგანტთა" დასახვედრად შოტლანდიაში უკვე ყველაფერი მზადაა. მასპინძლები გულმოდგინედ ემზადებიან მაღალი რანგის სტუმრების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფადაც. ქალაქ პრესტვიკის აეროპორტში ჩამოსულ ლიდერებს შოტლანდიელი მოწაფეები შეეგებებიან, ხოლო ქვეყნის პირველი მინისტრი ჯეკ მაქონელი პოლიტიკოსებს ნაციონალურ სტილში გადაწყვეტილ საჩუქრებს გადასცემს. სამიტის გახსნიდან რამდენიმე დღით ადრე აშშ-ს პრეზიდენტი გლობალურ კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით მსოფლიოსთვის მიუღებელ განცხადებას აკეთებს და კიოტის პროტოკოლის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს.*

ნანა ნასყიდაშვილი

დიდი რვიანის სამიტი, რომელიც ამ კვირაში შოტლანდიაში გაიმართება, დღეისთვის მთავარ პოლიტიკურ მოვლენად ითვლება. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, რუსეთის ფედერაციის, აშშ-ს, გერმანიის, იაპონიის, იტალიისა და კანადის რიგით 31-ე შეხვედრის განხილვის მთავარი საგანი გლობალური კლიმატური ცვლილებები და აფრიკის ქვეყნებში სიღარიბის დაძლევა იქნება. **"ეს ორი საკითხი ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია. გლობალური კლიმატური ცვლილებების შედეგად მომხდარმა წყალდიდობებმა აფრიკაში მილიონობით ადამიანს მიაყენა ზიანი. ჩვენ უნდა დავეხმაროთ აფრიკულ ქვეყნებს სიღარიბის დაძლევაში და ეკონომიკის განვითარებაში. ამ კუთხით წინსვლა ქვეყნებს განათლების, ჯანდაცვისა და სასამართლო სისტემის განვითარების საშუალებას მისცემს,"** - აღნიშნა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა. მისივე თქმით, დაუშვებელია მსოფლიომ სხვადასხვა დაავადებათა, შეიარაღებულ კონფლიქტთა და შიმშილის შედეგად ყოველდღიურად 30 ათასი ბავშვის სიკვდილი აიტანოს.

აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში დიდი რვიანის სამიტზე ამერიკის მხრიდან კიოტოს ოქმისა და ეკოლოგიის საკითხთან დაკავშირებულ მსგავს შეთანხმებათა მხარდაჭერას



*ჯორჯ ბუში გლობალური დათბობის პრობლემის მოგვარების გზას ახალ ტექნოლოგიებში ხედავს და არა კიოტოს ოქმის შესრულებაში.*

კვლავ გამორიცხავს. ამის შესახებ ზესახელმწიფოს ლიდერმა ბრიტანულ ტელეკომპანია "აი-ტი-ვი"-სთან მიცემულ ინტერვიუში განაცხადა. **"კიოტის შეთანხმება აშშ-ს ეკონომიკისთვის დამანგრეველია და მიმაჩნია, რომ ჩვენ ეკონომიკის განვითარება მავნე აირებთან ბრძოლის პარალელურად შეგვიძლია,"** - აცხადებს ბუში. მისი აზრით, ახალ ტექნოლოგიათა შემუშავება გლობალური დათბობის პრობლემის გადაჭრის ეფექტური საშუალებაა. მსგავსი განცხადებების გაკეთებას აშშ-ს ლიდერი "დიდი რვიანის" სახელმწიფოთა სამიტზეც აპირებს, რომელიც ოთხშაბათს შოტლანდიაში დაიწყება და სამ დღეს გასტანს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასეთი პოზიციის მიუხედავად ჯორჯ ბუში არსებული პრობლემის იგნორირებას არ ახდენს და ბუნებაში მიმდინარე საშიშ ცვლილებებში ადამიანის ქმედებებს ადანაშაულებს.

ამერიკის უარყოფითი დამოკიდებულება აღნიშნული შეთანხმების მიმართ გარკვეულწილად იმითაა განპირობებული, რომ კიოტის ოქმით გათვალისწინებული პირობები ქვეყანათა გარკვეულ ჯგუფს, რომლებიც აღნიშნულ შეთანხმებაში არ მონაწილეობენ (ჩინეთი, ინდოეთი და ბრაზილია), ეკონომიკის სფეროში კონკურენტუნარიანობას ჰმატებს.

დიდი რვიანის სამიტის განხილვის საგანი, კიოტის ოქმის გარდა, აფრიკის ქვეყნებისთვის დახმარების აღმოჩენა იქნება. ბუშის თქმით, აშშ მზადაა, აფრიკულ ფერმათა დახმარების მიზნით სასოფლო-სამეურნეო სუბსიდიებზე უარი განაცხადოს. თუმცა, აშშ ასეთ დათმობაზე ევროკავშირის მხრიდან სასოფლო-სამეურნეო შეთანხმების მიერ გათვალისწინებულ სუბსიდიებზე უარის თქმის შემთხვევაში წავა. **"ჩვენ ევროპელ მეგობრებთან შედარებით აშშ-ს სუბსიდიები სასოფლო-სამეურნეო სფეროში გაცილებით მასშტაბურია,"** - აღნიშნავს ჯორჯ ბუში.

## ორი სიტყვით

**ცენტრალური აზია.** დღეს ყაზახეთის დედაქალაქ ასატანაში "შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის" სამიტი გაიხსნება და ხვალამდე გასტანს. როგორც რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ სერგეი პრიხოდკომ აღნიშნა, მიმდინარე სამიტი ორგანიზაციის მომავალი განვითარების ორიენტირებს განსაზღვრავს. შეგახსენებთ, "შანხაის კლუბში" შედიან რუსეთი, ჩინეთი, ყაზახეთი, უზბეკეთი, ტაჯიკეთი და ყირგიზეთი. წინასწარი ინფორმაციით, სამიტის დღის წესრიგის მთავარი თემა რეგიონში სტაბილურობისა და უსაფრთოხების უზრუნველყოფის საკითხებზე მსჯელობას დაეთმობა.

ამჟამად ორგანიზაციაში დამკვირვებლის სტატუსით გაწევრინებულია მონღოლეთი. მიმდინარე სამიტზე დაგეგმილია ასეთივე სტატუსის მინიჭება ინდოეთის, პაკისტანისა და ირანისთვის. "ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტა მნიშვნელოვნად გაზრდის ორგანიზაციის გავლენას რეგიონულ და გლობალურ დონეზე. ასევე გაზრდის მის საერთაშორისო პრესტიჟს," - განუცხადა ჟურნალისტებს სერგეი პრიხოდკომ. **24 საათი**

■ ■ ■

**ირანი.** ისლამური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამონაგონი და "სიონისტური პროპაგანდა" უწოდა ბრალდებებს, რომლებიც გაისმა ქვეყნის ახლად არჩეული პრეზიდენტის, მაჰმუდ აჰმადინეჯადის წინააღმდეგ. ამ დღეებში ამერიკის ორმა ყოფილმა დიპლომატმა, რომლებიც 50 სხვა ამერიკელთან ერთად ჰყავდათ მძევლად, აჰმადინეჯადს ბრალად დასდეს, რომ იგი მონაწილეობდა 1979 წელს თეირანში შეერთებული შტატების საელჩოს ხელში ჩაგდებაში. გუშინ ავსტრიის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მოეპოვება დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებს აჰმადინეჯადის კავშირს 1989 წელს ვენაში ოპოზიციის ქურთი ლიდერის მკვლელობასთან. **რადიო თავისუფლება**

■ ■ ■

**ყაზახეთი.** პრეზიდენტი ნურსულტან ნაზარბაევი მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. ნაზარბაევის განცხადებით, მას ამის უფლებას აძლევს როგორც კონსტიტუცია, ისე ფიზიკური მდგომარეობა. ყაზახეთის პრეზიდენტის თქმით, ის ქვეყნის პირველი პირის თანამდებობაზე იმუშავებს მანამ, ვიდრე მისი პრეზიდენტობა დადებითად იმოქმედებს ყაზახეთის იმიჯზე. შეგახსენებთ, ნურსულტან ნაზარბაევი დამოუკიდებელი ყაზახეთის პირველი და, ჯერჯერობით, უკანასკნელი პრეზიდენტია. ნაზარბაევი 1989 წელს გახდა მაშინდელი ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის ცეკას პირველი მდივანი. 1991 წელს იგი უკვე დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს. **24 საათი**

# რუსული გაზის პოლიტიკური სურნელი უკრაინაში

*2005 წლის ბოლომდე უკრაინა რუსეთიდან 7 მლრდ კუბური მეტრი ბუნებრივი აირის ნაცვლად მხოლოდ ერთ მილიარდ ასი ათას კუბურ მეტრ გაზს მიიღებს. ამასთანავე, რუსეთმა გაზარდა ბუნებრივი აირის ღირებულება. უკრაინა, რომლის გავლითაც რუსეთს ევროპაში გააქვს თავისი გაზი, საპასუხოდ სატრანზიტო გადასახადის გაზრდას შეეცდება.*

თიკო მაჭარაშვილი

უკრაინულმა ორგანიზაციამ "ნაფტოგაზმა" გაზპრომიდან მიიღო უწყება, რომ ამ წლის ბოლომდე უკრაინა რუსეთიდან 7 მლრდ მ³ აირის ნაცვლად მხოლოდ მილიარდ ასი ათას მ3 გაზს მიიღებს. მოსკოვი გაზის შეწყვეტით უკრაინას ახსენებს, რომ რუსეთს უკრაინის ენერგოსისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია, რომ სულ ცოტა ხნის წინ, "გაზპრომმა" სიახლეები შეიტანა თავის მომხმარებლებთან, ძირითადად ყოფილ საბჭოთა ქვეყნებთან, დადებულ ხელშეკრულებებში. 2005 წლის ივნისის დასაწყისში ენერგო ჯგუფის ვიცე-პრეზიდენტმა ბალტიის სამ ქვეყანასა და მოლდოვას ტარიფების გაორმაგების შესახებ აცნობა: გაზის ღირებულება მიუახლოვდება მსოფლიო ბაზრის ფასს, ათასი მ3 ბუნებრივი აირი 150 დოლარი ეღირება.

"გაზპრომმა" სწორედ ეს ახალი ტარიფი წარუდგინა "ნაფტოგაზ"-ს იმ გაზის მარაგზე, რაც უკრაინულ მიწისქვეშა საცავებში არის დაგროვილი (სხვათა შორის, დიდი ხნის მანძილზე უკრაინული მხარე არ აპირებდა ამ "გადამალულ" აირზე ფულის გადახდას, რადგანაც ტექნიკური მიზეზების გამო რუსეთისთვის ეს გაზი მიუწვდომელი იყო).

**"ვფიქრობ, რომ რუსეთის გაზი ყოველთვის პოლიტიკასთან არის დაკავშირებული**, - განაცხადა უკრაინის პრემიერ-მინისტრმა იულია ტიმოშენკომ, - **საერთოდ გაზი პოლიტიკური პროდუქტია, ამიტომ ეს პრობლემა მხოლოდ პოლიტიკური გზით შეიძლება იქნეს მოგვარებული**."

რუსეთის ახალი პოლიტიკის საპასუხოდ უკრაინამ მოსკოვს სატრანზიტო გადასახადის გაზრდის შესახებ აცნობა. შეგახსენებთ, რუსეთს უკრაინის გავლით გააქვს თავისი გაზი ევროკავშირის წევრ-ქვეყნებში.

მაგრამ შეძლებს კი უკრაინა სატრანზიტო ფასის გაზრდით რუსეთზე ზემოქმედებას? ერთი მხრივ, რუსეთს 5 წელიწადში ექნება ახალი გაზსადენი, რომ დაუკავშირდეს ევროპას. ეს ბალტიის გაზსადენია, რომლის მშენებლობაც შემოდგომაზე დაიწყება.

მეორე მხრივ, უკრაინას, ფაქტობრივად, არა აქვს ბუნებრივი აირით მომარაგების სხვა ალტერნატიული წყარო. 2006 წლის დასასრულიდან უკრაინა ველარ შეავსებს დანაკლისს თურქმენული გაზით, რადგან 25 წლის განმავლობაში თურქმენეთმა თავის პროდუქციაზე ექსკლუზიური უფლება გაზპრომს გადასცა. ასე რომ, 2007 წლიდან კიევი 100 პროცენტით დამოკიდებული იქნება რუსეთზე.

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ხელახალ ღია საერთაშორისო ტენდერს საწვავ-საპოხი მასალების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს

**შესყიდვის ობიექტი-** საწვავ-საპოხი მასალები
**დაფინანსების წყარო - სახელმწიფო ბიუჯეტი**

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად ადგილზე მიტანით ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

**იურიდიულ პირთათვის:**

1. მსურველის იურიდიული პირის ქონებაზე არ უნდა იყოს დადებული ყადაღა (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ უნდა ხორციელდებოდეს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან.
3. მსურველის იურიდიული პირის ხელმძღვანელები ბოლო 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყვნენ მსჯავრდადებულნი, და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

.

**ფიზიკურ პირთათვის:**

1. უნდა იყოს ქმედუნარიანი (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
2. მის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს გაკოტრების საქმის წარმოება (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა სასამართლოდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან
3. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში არ უნდა იყოს მსჯავრდებული და შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მის მიმართ არ უნდა იყოს აღძრული სისხლის სამართლის საქმე მის ეკონომიკიურ და სამსახურეობრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის (უნდა იყოს წარმოდგენილი ცნობა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან); უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ-შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან

**დამატებითი მოთხოვნები:**

- ცნობა მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);

ინფორმაცია უკანასკნელი 2 (ორი) წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური პროექტების შესახებ.

- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა 2004 წლის ფინანსური მდგომარეობის შესახებ);

სატენდერო განაცხადი უნდა შეიცავდეს ტენდერში მონაწილეობის მსურველის ვინაობას, სახელს, გვარს, მისამართს, ტელეფონი/ფაქსი, ანგარიშსწორების რეკვიზიტებს;

თუ შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

განაცხადი და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნას ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე დამოწმებული ნოტარიუსის მიერ) და წარმოდგენილი სატენდერო კომისიის აპარატში ხელმძღვანელის ან მის მიერ წერილობით უფლებამოსილი პირის მიერ 2005 წლის **22 ივლისიდან** 2005 წლის **26 ივლისის 14 საათამდე** შემდეგ მისამართზე:

**0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2 შესყიდვების დეპარტამენტი მე-6 სართული ოთახი N609**

**საქართველოს თავდაცვის სამინისტრო**

დაგვიანებით შემოსულ განაცხადებს და საკვალიფიკაციო მონაცემებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და უბრუნებს წარმომდგენ პირებს.

საკვალიფიკაციო შერჩევა შედგება 2005 წლის **27 ივლისის 14 საათზე** წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთაღნიშნულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.

საკვალიფიკაციო პროცედურის დასრულების შემდეგ შერჩეულმა პრეტენდენტებმა უნდა გადაიხადონ სატენდერო მოსაკრებელი 500 ლარის ოდენობით მათ სახელზე გაგზავნილ შეტყობინებაში მითითებულ ანგარიშზე. სატენდერო დოკუმენტაცია (ქართულ ენაზე) გადაეცემა პრეტენდენტებს 2005 წლის **29 ივლისიდან 2005 წლის 3 აგვისტოს 18 საათამდე** მოსაკრებლის გადახდის შემდეგ.

სატენდერო დოკუმენტაცია გაიცემა შემდეგ მისამართზე: **0177, ქ.თბილისი, უნივერსიტეტის ქ. N2. თავდაცვის სამინისტროს შესყიდვების დეპარტამენტი, მე-6 სართული ოთახი N609.** სატენდერო კომისიის აპარატი.

პრეტენდენტების სატენდერო წინადადებების მიღების ბოლო ვადაა **2005 წლის 8 აგვისტოს** 15 **საათი.** სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ზემოთ აღნიშნულ მისამართზე **2005 წლის 8 აგვისტოს** 15 **საათზე.** პრეტენდენტების დასწრება აუცილებელია.

ტენდერის დროს გამოვლენილი იქნება ერთი ან რამდენიმე გამარჯვებული.

ტენდერი ტარდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საფუძველზე.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში, აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მოსაკრებლის გადახდამდეც.

დამატებითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს, ზემოთ აღნიშნულ მისამართზე და ტელეფონზე **25-17-74.**

**სატენდერო კომისია**

| ლოტის № | პროდუქციის დასახელება | ზომის ერთ. | რაოდენობა | მიწოდების გრაფიკი | მიწოდების ადგილი |
|---|---|---|---|---|---|
| ლოტი №1 | საავტომობილო ბენზინი (რეგულარი) | ლ | 605996 | 15.08.05-31.12.05 | ქ. თბილისი, [illegible] |
| ლოტი №2 | დიზელის საწვავი ლ- 62 | ლ | 1461055 | | |
| ლოტი №3 | ზეთი "[illegible]" | ლ | 5000 | | ქ. თბილისი |
| ლოტი №4 | ზეთი მ–20 | ლ | 10000 | | |

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფორმაცია

[illegible]

საწვავ-საპოხი მასალები

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესყიდული საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| შპს "[illegible]" | საავტომობილო ბენზინი "რეგულარი" | ლიტ | 805 996 | 1,079 | 858 863,69 |
| | დიზელის საწვავი ლ-62 | ლიტ | 1 961 055 | 1,141 | 2 237 563,76 |
| შპს "[illegible]" | საავიაციო ნავთი ტს-1 | ლიტ | 1 341 628 | 1,140 | 1 529 457,06 |
| | ზეთი საე-15 W 40 | ლიტ | 20 286 | 3,210 | 65 118,06 |
| | ზეთი საე-20 W 50 | ლიტ | 32 743 | 3,060 | 100 193,58 |
| შპს "[illegible]" | ზეთი [illegible] | ლიტ | 12 200 | 3,100 | 37 820,00 |
| | ჰიდრავლიკური ზეთი "[illegible]" | ლიტ | 1 500 | 3,600 | 5 400,00 |
| | | | | სულ | 4 844 416,14 |

პირადი შემადგენლობის [illegible]

| ტენდერში გამარჯვებული ორგანიზაცია | შესყიდული საქონლის დასახელება | განზომილება | რაოდენობა | ერთეულის ღირებულება (ლარი) | საერთო ღირებულება |
|---|---|---|---|---|---|
| ინდ. მეწარმე "[illegible]" | პირადი შემადგენლობის [illegible] (ქ.თბილისი) | [illegible] | 93 580 | 1,45 | 135 691,00 |








დავით კოჟირიძის სვეტი

# დალომბარდებული ქვეყნიდან დანახული ღიმილის ბიჭები

ფაველაში აღზრდილმა, თავის დროზე კრიმინალურ წრეში სახელოვანმა ხელის დამრტყმელმა ადრიანომ მადლიანად რომ მოადო ზარბაზანივით ცაცია, გერმანიიდან ძალიან შორს, მუშტაედთან ვიჯექი სპორტ-კაფეში. მაგრამ იმ წამს მეგონა, რომ არგენტინას მე შევუგდე და არა ამ ჯიშიანმა ჯიგარმა, რომელმაც მეორე დიდ სანაკრებო ტურნირზე დაამტკიცა, რომ ღირსია ხუთვარსკვლავიანი ყვითელი მაისურისა. პირველად ეს კოპა ამერიკაზე მოხდა, მეორედ - კონფედერაციის თასზე და ორჯერვე მის ჯანიან მუსკულატურას არგენტინის ნაკრები შემოეფშხვნა. ბრაზილიელისთვის კი არაფერია ცისფერზოლიანი მეტოქის რბევაზე გემრიელი და ამიტომ არაა გასაკვირი, რომ მსოფლიოსა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონ, კონფედერაციის თასის მფლობელ ქვეყანაში დღეს არავინაა ამ ბიჭზე დაფასებული.

არგენტინელებს ძალიან არ გაუმართლათ. ჯერ ერთი, საუკეთესო ფორმა ჯგუფურ ეტაპზე დატოვეს. მეორე - მექსიკელებთან ჯაჯგურმა დაღალა. და მესამე - ბრაზილიელებმა 29 ივნისს მიაღწიეს სათანადო კონდიციას. ხოლო როცა პენტაკამპეონეები ამ კონდიციას აღწევენ, ანუ, როცა მათთვის თამაში ხდება ბურთის სამბასებური ალერსი, მაშინ ერთადერთი გზა რჩება - მოწინააღმდეგემაც უნდა იცეკვოს. თუნდაც ტანგო. ოღონდ უბურთოდ...

ფინალში კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ ადრიანოს მალანდრო მეწყვილე, ეფექტური რობინიო, მზად არაა უმაღლესი დონის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად. კი, უდავოდ ნიჭის საბადოა, ტექნიკას აფრქვევს, სწრაფია, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ კატენაჩოს ჩარხი დატრიალდება, მცველები ხმლების ქნევას რომ დაიწყებენ, ძველებურად ნაღდად ვერ იფარფატებს. სავარაუდოდ, სამწვრთნელო შტაბი აპატიებს რონალდოს მორიგ მუქთახორულ გამოხდომას და შეურიგდება. თუმცა, ისიც ძნელი სათქმელია, რამდენად სასარგებლოდ ამოქმედდება ორი მსგავსი ფორვარდის წყვილი.

ჭინკა რობინიოს გარდა ჩემპიონებმა ორი ახალი კაცი გამოსცადეს ძირითად შემადგენლობაში - განაპირა მცველები სისინიო და ჟილბერტო. ეს უკანასკნელი რობერტო კარლოსს ნაღდად ვერ შეედრება, აი, სისინიომ კი თუ ასე გააგრძელა, მსოფლიოს ბოლო სამი პირველობის ფინალში მოთამაშე კაფუს სერიოზულად მოუწევს თითების კვნეტა. მით უმეტეს, რომ გაისად უფრო ბებერი იქნება. კაფუ გამორჩეული სპორტსმენია, მისნაირი მრავლისმნახველი ფეხბურთელები (მალდინის თუ არ ჩავთვლით) დღეს ან ყატარში ჭრიან მაყუთს ძუნძულით, ან ცოლ-შვილთან ერთად დასეირნობენ ეგზოტიკურ ალაგებში. მაგრამ ამ ასაკში ერთი წელიწადი დიდი დროა და არავინ უწყის, როგორ ფორმაში იქნება გაისად ეს მართლაც გიგანტი ფეხბურთელი. თან ნუ დაგვავიწყდება, რომ ამ ამპლუის მოთამაშეს, მით უფრო ბრაზილიის ფორმაციის გუნდში, ყველაზე მეტი სირბილი უწევს.

ისე, გამოგიტყდებით და ამ მუდამ მოღიმარი, ყბების მქნეველი კაცის შემხედვარეს სულ მგონია, რომ ერთ მშვენიერ დღეს "ძმები ბლუზების", დენ ეიკროიდისა და ჯეიმს ბელუშის ლეგენდარულ მანქანასავით დაიშლება მშობლიურ მარჯვენა ფრთაზე.

კონფედერაციის თასის მფლობელზე ლაპარაკი იმით დავამთავროთ, რომ ბრაზილია კვლავაც უმთავრესი ფავორიტი იქნება 2006-ში. მეკარე - შესანიშნავი; დაცვა - არაიდეალური (მიუხედავად იმისა, რომ ამ წუთისთვის ლუსიო პლანეტის უძლიერესი ცენტრალური მცველი მგონია), მაგრამ ბრაზილიელთა წინა ხაზის გადამკიდე ნებისმიერს გაუჭირდება დიდი ძალებით შეტევა და ამიტომ მცველებს დატვირთვა ნაკლები ექნებათ; ნახევარდაცვა და თავდასხმა, რომელთა დიფუზიაც პარეირას მთავარი ამოცანაა, ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთის ისტორიაში; ქოუჩი - მსოფლიოს ჩემპიონი; გულშემატკივრობა - მხიარულ-მუსიკალურ-სექსუალური და ყოველივედან გამომდინარე, განწყობაც მუდამ ღიმილიანი.

მაგრამ მეექვსედ? გამართლება, ეს უმნიშვნელოვანესი საფეხბურთო ჯოკერი, კვლავ ბრაზილიელებს მიუვათ?

▪ ▪ ▪

არ ვიცი, ბრაზილიელებს რა მიუვათ, მაგრამ ქართველებს რომ კარგა ხანია კოზირიც არ გვინახავს, ეს რას დავაბრალოთ? აი, მორიგი საკლუბო ევროსეზონი დაიწყო და კვლავ გავიხიშტეთ. უნგრულ "ლომბარდ პაპას" გაცილებით ცუდი კარტი ეჭირა, მაგრამ მაინც მოგვიგო ორივე დარიგება - "ვიტ ჯორჯიამ", საქართველოს ერთ-ერთმა საუკეთესო კლუბმა, წააგო ვიღაცასთან, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

გუშინ "ირაოზე" საუბანთაშორისო, სამოყვარულო ტურნირი დამთავრდა და ვისაც უნდა დავენაძლევები - ამ შეჯიბრების თერთმეტ მონაწილეს შევკრებ, დავირქმევ "კირილე პაპას", "პაპა კარლოს" ან თუნდაც "პაპაი ოქროს", მოედანზე გავალ და იმ ვიღაცას თუ რაღაცას ბურთს თავზე გადავახევ! როგორ? როგორ და ჯიგრით, ბრძოლით, ძვლების ჭახა-ჭუხით. არც მწვრთნელი მჭირდება და არც პრემია, რადგან ჩემთვის არნახულად შეურაცხმყოფელი ამბავია, როცა თერთმეტი ძალიან უნიჭო, გავარდნას ძლივს გადარჩენილი უნგრელი თბილისში ჩამოდის და ქართულ ფეხბურთს პანჩურებს ურტყამს.

ქართველები უაზროდ მაქსიმალისტები ვართ, ოღონდ ლაპარაკისას. ვამბობთ, ფეხბურთის თამაში სისხლში გვირევიაო, მერე მოედანზე გავდივართ და ეს სისხლი ზეთით იცვლება. ჩვენ გრანდიოზულ საქმეებზე ლაქლაქს არაფერი გვირჩევნია, თუმცა ელემენტარულსაც არ ვაკეთებთ. ეს არის გულგრილობის, იდიოტური ამბიციებისა და უცოდინარობის ბრალი. და სანამ არ ვაღიარებთ, რომ ჩვენი საკლუბო სოკერი "ლომბარდ პაპაზე" დაბალი დონისაა, მანამდე ვიქნებით დალომბარდებულები, მანამდე ვერ დავიწყებთ მშენებლობას საფეხბურთო მეურნეობისა, რომლის პროდუქციაც ოდნავი სიამაყის საშუალებას მაინც მოგვცემს. არადა, აბა, რომელიმე ჯორჯიული კლუბის მეპატრონეს, მწვრთნელს ან ფეხბურთელს უთხარი რამე ზედმეტი. შეიძლება კრიჭა შეეკრას.

"ფსიქოდან" გავიგე, პაზოლინის უთქვამს ერთხელ ის, რაც ბურთზე შეყვარებული კაცისთვის აქსიომაა - ფეხბურთი ძალიან მაგრად ჰგავს ცხოვრებასო. ლოგიკურ მსჯელობას თუ გავაგრძელებთ, ყოველ ერს ისეთი ფეხბურთი აქვს, როგორსაც კონკრეტულ მომენტში იმსახურებს, როგორი ცხოვრებითაც ცხოვრობს.

ამიტომაც ნუ გვიკვირს, როცა ლომბარდად ქცეულ სახელმწიფოში ლომბარდპაპები პარპაშობენ.

*მომავალ სამშაბათამდე.*

ფეხბურთი

# "დინამოს" ტურნე დასრულდა

## 4 მოგება, ფრე და მარცხი

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "დინამომ" 3 ივლისს მეექვსე საკონტროლო მატჩი გამართა, რითაც დაასრულა გერმანიასა და შვეიცარიაში 20 ივნისს დაწყებული მოსამზადებელი შეკრება. ამჯერად საქართველოს ჩემპიონის მეტოქე შვეიცარიის უმაღლესი ლიგის წარმომადგენელი "შოპჰაუზენი" იყო. ეს მატჩი ჩვენმა გუნდმა პრაქტიკულად მეორე შემადგენლობით ჩაატარა, რადგან ძირითადმა გუნდმა ერთი დღით ადრე სამკვირიანი შეკრების მთავარი საკონტროლო თამაში გამართა. ამ მატჩში "დინამომ" შვეიცარიის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი ციურიხის "გრასჰოპერსი" დაამარცხა (1:0). შეგახსენებთ, რომ 1977 წელს "დინამო" უეფას თასის გათამაშებას სწორედ "გრასჰოპერსმა" გამოთიშა. ახალმა "დინამომ" 28 წლის წინანდელი მარცხისთვის ერთგვარი რევანში აიღო.

**"შოპჰაუზენი" - "დინამო" 2:1 (1:1)**

**დინამო:** ზოიძე (სტურუა, 46`), ალადაშვილი (ფირცხალავა, 46`), გიგაური, ქემოკლიძე (ორბელაძე, 46`), აკობია, ჭელიძე (კანდელაკი, 46`), მახარაძე (ბაბუნაშვილი, 46`), ნერგაძე, ნავალოვსკი, დვალიშვილი, ბობოხიძე.

**გოლები:** 1:0 ბუნიაკუ 1`, 1:1 დვალიშვილი 20`, 2:1 ტოდისკო 56`.

მატჩი "დინამოს" მცველების უხეში შეცდომით დაიწყო: ბუნიაკუ უპრობლემოდ გასცდა სტუმართა ბოლო ხაზს, ზოიძესთან პირისპირ გავიდა და, მართალია, "დინამოს" მეკარემ შეძლო პირველი დარტყმის მოგერიება, მაგრამ ბურთთან ისევ ბუნიაკუ აღმოჩნდა და ანგარიში გახსნა.

"დინამომ" ანგარიში 20 წუთში გაათანაბრა: ნავალოვსკის მიერ მარცხენა ფლანგიდან ჩაწოდებულ ბურთს დვალიშვილი შეწვდა და ანგარიში გახსნა. პირველი ტაიმის დარჩენილმა დრომ უინტერესოდ განვლო. თამაში ძირითადად მოედნის ცენტრში მიმდინარეობდა და სახიფათო მომენტი არც ერთ კართან აღარ შექმნილა. შეხვედრის ხასიათი არც მეორე ნახევარში შეცვლილა, იმ განსხვავებით, რომ მასპინძლებს ერთი შედეგიანი შეტევა მაინც გამოუვიდათ. ეს 56-ე წუთზე მოხდა: "დინამოს" საჯარიმო მოედნის მისადგომებთან დაინიშნა ჯარიმა, რომლის შესრულებაც ბუნიაკუმ ითავა. ბურთი "ცოცხალ კედელს" მოხვდა, კარის მიმართულებით განაგრძო მოძრაობა, ტოდისკომ ბურთს თავით მიმართულება შეუცვალა და თავისი გუნდი დააწინაურა. მიუხედავად იმისა, რომ ეს გოლი მატჩის დამთავრებამდე ნახევარი საათით ადრე გავიდა და საკმარისი დრო იყო საპასუხო გოლის გასატანად, "დინამომ" ეს ველარ შეძლო. ეს წაგება ერთადერთი მარცხი აღმოჩნდა 6-მატჩიან ტურნეში, რომლის ჩატარებაც საქართველოს ჩემპიონმა გერმანიასა და შვეიცარიაში ყოფნის დროს მოასწრო.

კახა ცხადაძე ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): "თბილისშივე, შეკრებაზე გამომგზავრების წინ გამართულ პრესკონფერენციაზე ვთქვი, რომ "შოპჰაუზენთან" შეხვედრის შედეგს დიდ მნიშვნელობას არ ვანიჭებდი. ამ თამაშში იმ ფეხბურთელების გამოცდას ვგეგმავდი, რომლებსაც წინა ორ მატჩში თამაშმა არ მოუწიათ. ასე რომ, ერთი შეხედვით, "შოპჰაუზენთან" თამაშის დიდი აუცილებლობა არც იყო, თუმცა, მთლად ასე არ არის. თამაშმა დამანახა, რომ ზოგიერთი ფეხბურთელი საქმეს ისე არ უდგება, როგორც საჭიროა. ამის გამო მეორე ტაიმში მათი შეცვლა მომიხდა და მოედანზე ძირითადი შემადგენლობის გადაღლილი ფეხბურთელები შევიყვანე. ამ მატჩმა დიდი როლი შეასრულა ჩემს საბოლოო ჩამოყალიბებაში - დავინახე, თუ რომელ ფეხბურთელებს შეიძლება დავეყრდნო."

"დინამო" ხვალ დაბრუნდება სამშობლოში. 11 ივლისს გუნდი ესტონეთში გაემგზავრება, ხოლო 12 ივლისს ჩემპიონთა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს გამართავს ტალინის "ლევადიასთან". გამარჯვების შემთხვევაში 19 ივლისს, თბილისში, ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე ჩატარდება.



"დინამო" მზადებას თბილისში გააგრძელებს.


# განცხადება ღია ტენდერის ჩატარების შესახებ

**საკონსულტაციო მომსახურება,**

პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტი

კრედიტი No 3702-GE

**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**, პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში, იწვევს გამოცდილ ადგილობრივ არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმებს **სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრის ოფისისათვის განკუთვნილი ფართის** (დაახ. 440 მ2), მდებარე ქ. თბილისში, მიხეილ ასათიანის ქ. N 9, რეაბილიტაციისათვის საჭირო **არქიტექტურული დიზაინისა და საავტორო ზედამხედველობის სამუშაოების განსახორციელებლად**.

სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრის ოფისი განლაგებულია დაავადებათა კონტროლის და სამედიცინო სტატისტიკის ეროვნული ცენტრის ოთხსართულიანი შენობის მესამე და მეოთხე სართულებზე. პირველადი ჯანდაცვის განვითარების პროექტის ფარგლებში დაგეგმილია სამედიცინო სტატისტიკისა და ინფორმაციის ცენტრის ოფისის გარემონტება და საოფისე აღჭურვილობით, ავეჯითა და კომპიუტერული ტექნიკით დაკომპლექტება.

**არქიტექტურულ/საინჟინრო ფირმამ უნდა განახორციელოს შემდეგი სამუშაოები:**

შეიმუშაოს არქიტექტურული მონახაზი;

- დაამუშაოს პროექტის არქიტექტურული და საინჟინრო ნაწილები;

მოამზადოს სამშენებლო სამუშაოებისა და მასალების, საინჟინრო სპეციალური სამუშაოების ჩამონათვალი და სპეციფიკაციები.

- მოამზადოს საოფისე აღჭურვილობის, ავეჯისა და საოფისე კომპიუტერული ტექნიკის ჩამონათვალი და ტექნიკური სპეციფიკაციები.

სარეაბილიტაციო სამუშაოებისა და ობიექტის აღჭურვისა და დაკომპლექტების მიმდინარეობის პროცესში განახორციელოს საავტორო ზედამხედველობა სტანდარტებთან და პროექტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

- წარმოადგინოს რეგულარული ანგარიშები სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ.

**შენიშვნა:** არქიტექტურულმა/საინჟინრო ფირმამ უნდა მოამზადოს ყველა ნახაზი არქიტექტურულ კომპიუტერულ პროგრამაში (ArchiCad /AutoCad-ში).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

1. მინიმუმ 3 წლის გამოცდილება შესაბამის დარგში;
2. მინიმუმ 3 მსგავსი განხორციელებული პროექტი;
3. ფირმის ძირითადი პერსონალის გამოცდილება შესაბამის დარგში:

წამყვანი სპეციალისტი: არქიტექტორი/ინჟინერი - სულ ცოტა 7 წლის გამოცდილება;

- სხვა სპეციალისტები - სულ ცოტა 5 წლის გამოცდილება.

**სამუშაოების ხანგრძლივობაა 8 თვე (რაც მოიცავს 3 თვეს არქიტექტურული დიზაინის მოსამზადებლად).**

ადგილობრივი საკონსულტაციო ფირმა შერჩეული იქნება მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმძღვანელოს მიხედვით: "დაქირავებულ კონსულტანტთა შერჩევა და სამუშაოზე აყვანა მსოფლიო ბანკისგან მსესხებლების მიერ", მეთოდი - "შერჩევა კონსულტანტის კვალიფიკაციაზე დაყრდნობით", 1997 წლის იანვარი (შესწორება - 1997 წლის სექტემბერი, 1999 წლის იანვარი).

რამდენადაც კანდიდატთა შეფასება მოხდება **საკონსულტანციო ფირმის კვალიფიკაციის მიხედვით** გთხოვთ, ინტერესის შემთხვევაში გამოგვეხმაუროთ წერილობით და ინტერესის გამოხატვის წერილს თან დაურთოთ:

1. მოკლე ინფორმაცია თქვენ ფირმაზე;
2. მსგავსი განხორციელებული პროექტების ჩამონათვალი, მოკლე აღწერა და საილუსტრაციო მასალები (ბუკლეტები, ფოტოები და ა.შ.);
3. **სახელმწიფო ლიცენზია პროექტირებაში;**
4. ინფორმაცია ფირმის ძირითადი პერსონალის შესახებ (კვალიფიკაციისა და გამოცდილების აღწერილობა - CVs).

წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე შეირჩევა საუკეთესო კვალიფიკაციის მქონე ფირმა, რომელიც შემდგომ მოწვეული იქნება ტექნიკური და ფინანსური წინადადებების მოსამზადებლად.

ინტერესის წერილები უნდა წარმოადგინოთ **2005 წლის 18 ივლისის 17 სთ-მდე** შემდეგ მისამართზე:

**ქ. თბილისი 0160, ალ. ყაზბეგის გამზ. N23, მე-2 კორპუსი, მე-5 სართული,**
**საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი**
**ტელ/ფაქსი: +995 (32) 331934, 331839**
**ელ. ფოსტა: info@hpic.ge**
**საკონტაქტო პირი: ეკა ეკიზაშვილი, ოფისის მენეჯერი**

# შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური" აცხადებს განმეორებით

# ა უ ქ ც ი ო ნ ს

ბათუმის საზღვაო ნავსადგური იწვევს ჯართის შეძენაში დაინტერესებულ პირებს ჩამოწერილი და ექსპლოატაციიდან გამოყვანილი ორი მცურავი ერთეულის ჯართად რეალიზაციის მიზნით გამართულ აუქციონში მონაწილეობისთვის. სარეალიზაციო ობიექტის მონაცემებია:

| დასახელება | წონა (ტონა) | საწყისი ღირებულება (აშშ დოლ.) | ბიჯი (აშშ დოლ.) |
|---|---|---|---|
| ბუქსირი "[illegible]" | 256,00 | 10 240,00 | 204,80 |
| ბარჟა "[illegible]" | 230,00 | 9 200,00 | 184,00 |
| | | | |

აღნიშნული მცურავი ერთეულები იმყოფება პორტის აკვატორიაში. ექსპერტის დასკვნის თანახმად მათი შემდგომი გამოყენება დანიშნულების მიხედვით შეუძლებელია. აუქციონზე გამარჯვებულს ევალება გაიტანოს მცურავი ერთეულები პორტის აკვატორიიდან ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 დღის ვადაში.

**გამყიდველი**: შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური".

**აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია:** საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირებს.

**აუქციონში მონაწილეობა, თანხის გადახდის ვადები და ვალდებულებები:**

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი ბეს სიდიდე არ უნდა იყოს საწყისი გასაყიდი ღირებულების 10 პროცენტზე ნაკლები. ბილეთის შესაძენი ფასი, რომელიც ფიზიკურ პირთათვის 10 ლარია, ხოლო იურიდიულ პირთათვის 20 ლარი, მონაწილის მიერ გადახდილი უნდა იქნეს სს "თი ბი სი ბანკი"-ს ბათუმის ფილიალში, ბანკის კოდი: მფო 220101835, ანგარიშის ნომერი 34700347.

თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს მონაწილე იღებს "მონაწილის ბილეთს", რის შემდეგაც იგი იძენს მონაწილის სტატუსს. პირმა, რომელსაც სურს მიიღოს მონაწილეობა ორივე მცურავი ერთეულის ჯართის სახით შეძენის ვაჭრობაში უნდა გადაიხადოს "ბე" თითოეულ ქონებაზე და წარმოადგინოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად საჭირო დოკუმენტაცია თითოეულ სარეალიზაციო ქონებაზე ცალ-ცალკე. აღნიშნულის შემდეგ მას მიეცემა ცალკეული სარეალიზაციო ქონების აუქციონის მონაწილის სტატუსი.

მყიდველი ვალდებულია დამტკიცებული აუქციონის შედეგების ოქმის გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ობიექტის საბოლოო გასაყიდი ფასი. წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება ობიექტზე და ბეს შენატანი არ დაუბრუნდება. ბეს შენატანი არ დაუბრუნდება ასევე აუქციონის შედეგების ოქმზე ხელმოწერის უარის მთქმელ გამარჯვებულ მონაწილეს. თანხის გადახდა ხდება ეროვნულ ვალუტაში, გადახდის მომენტისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის კურსით.

**ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:**

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება მიმდინარეობს ყოველდღე შაბათ-კვირის გარდა, 2005 წლის 05 ივლისიდან 2005 წლის 05 აგვისტოს ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე (შპს ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური, ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება).

**აუქციონი გაიმართება** 2005 წლის 08 აგვისტოს დღის 12 საათზე, მისამართი: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.N11, მეორე სართული, ბათუმის ნავსადგურის სააქტო დარბაზი.

**აუქციონში მონაწილეობის მისაღებად აუქციონის კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:**

- დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი.

ბეს შეტანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი, აუქციონში მონაწილეობის მისაღებად შესაძენი ბილეთის საბანკო ქვითარი.

- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ქსეროასლი.

ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

- იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ ამონაწერს სასამართლოს სამეწარმეო რეესტრიდან, აგრეთვე, ქონების შეძენისა და აუქციონში მონაწილეობის თაობაზე უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებას.

**გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:**

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება.

დამატებითი ინფორმაცია სარეალიზაციო ობიექტის შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ მისამართზე: ქ. ბათუმი, ქუთაისის ქ. N1, მეორე სართული, იურიდიული განყოფილება, ტელ: 74914.

**შპს "ბათუმის საზღვაო სავაჭრო ნავსადგური"**

# ქართული რეკლამა "ეპიკას" ფარგლებში

საერთაშორისო ფესტივალ "ეპიკას", რომელიც პარიზში დაფუძნდა და ყოველწლიურად სხვადასხვა ქალაქებში იმართება, ბოლო დროს საქართველოც ეხმაურება. რამდენიმე წელია თბილისში ტრადიციულად იმართება "ეპიკას" დღეები. ფესტივალის ერთ-ერთი მონაწილის - "მაგი სტილის" არტ-დირექტორის ირინა კაჭარავას თქმით, მსგავსი სტილის ფესტივალისა და საერთოდ, რეკლამის შექმნისა თუ წარმატებისთვის მთავარია იდეა, - რამდენად მიმზიდველი იქნება იგი მომხმარებლისთვის, რამდენად გასაგები და მოსაწონი.

თავად რეკლამა თუ მსგავსი სამსახური საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა, მით უმეტეს, რომ ქართული ბაზარი საკმაოდ მწირია და თვითდამკვიდრებაც შესაბამისად სირთულეებთან არის დაკავშირებული.

გალერეა "ჰობი" მასპინძლობს "ეპიკას" ქართველი მონაწილეების ნამუშევრებს - ქართული ნაბეჭდი რეკლამის სახით. ინდივიდუალურ დიზაინერთა გარდა, წარმოდგენილია სხვადასხვა ფირმების ("ბენეფისი", `მანავის ღვინის მარანი" და სხვა) პლაკატები.

განსაკუთრებული მოწონება ჟურნალ "ანაბეჭდის" პლაკატმა და დიზაინერ გიორგი პოპიაშვილის სარეკლამო სერიამ, "ბორჯომის" მოტივებზე, დაიმსახურა.

რასაკვირველია, შთამბეჭდავია ქართული მევენახეობის მარგალიტი - მანავის ღვინო, გნებავთ ქართული ნაციონალური ბალეტი - სუხიშვილები 2005 და სხვა ნიმუშები.

მოკლედ, გალერეაში წარმოდგენილი პლაკატებიდან ყველა ქართულია, თუმცა ყველა ვერ ასახავს ასეთივე ქართულ ნაწარმს. ალბათ, ის დროც დადგება, როცა ქართული ნაწარმი მხოლოდ ღვინო, ბორჯომი და ნაციონალური ბალეტი არ იქნება. იმედია, სარეკლამო არეალიც გაიზრდება და "ეპიკას" ფრანგი წარმომადგენლები უფრო მეტ ქართულ ნამუშევარს გაუხსნიან გზას ევროპულ ბაზარზე.

გალერეაში წარმოდგენილი ნამუშევრები კი კიდევ ორ დღეს იქნება გამოფენილი.

# მწერალი ანათემაზე

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდის "სულიერების, მეცნიერების და კულტურის აღორძინებისა და განვითარების" აღმასრულებელი მდივნის, დეკანოზ გიორგი ზვიადაძის განცხადებით, საპატრიარქო აპირებს ანათემაზე გადასცეს ახალგაზრდა ქართველი მწერალი ზურაბ მესხი.

საპატრიარქოს რისხვა გამოიწვია მწერლის ბოლო რომანმა "...ჩვენი უცოდველობა, მამავ....", გამომცებლობა "ოქტავა", თბილისი, 2004. რომანი ახალგაზრდა ქალის ტრაგიკულ ცხოვრებაზე მოგვითხრობს და რეალისტურად აღწერს თანამედროვე საქართველოში არსებულ უარყოფით მოვლენებს. ტექსტში მძაფრი რელიგიური მუხტია ჩადებული, მრავლადაა ციტატები ბიბლიიდან, რომანის გმირები საუბრობენ, ჩვეულებრივი შეულამაზებელი ენით და მკვეთრ გამონათქვამებსაც არ ერიდებიან. ავტორი ცოცხლად გვიხატავს უპატრონო ბავშვების, მარტოხელა ქალების, კრიმინალების, ბიზნესმენების, პოლიტიკოსების, "რიგითი" ადამიანებისა და მღვდლების პერსონაჟებს. რომანის მთავარი გმირიც მღვდლის შვილია. ასევე ტრაგიკულია ერთ-ერთი პერსონაჟის, მამა ზაქარიას ბედიც, რომელიც ქალისადმი მიწიერი სიყვარულის გამო არღვევს საეკლესიო კანონს და შემდეგ ფსიქიურად ავადდება.

მაგრამ საპატრიარქოს რისხვა მხოლოდ რომანის ერთ-ერთმა უმნიშვნელო პერსონაჟმა გამოიწვია, რომელსაც წიგნის 133-ე გვერდზე, სულ რამდენიმე წინადადება ეძღვნება: " ყოფილა ვინმე როენა თუაშვილი...ეკლესიის მთავრობაში ვიღაც გავლენიანი..... ეს როენა თუაშვილი ყოფილა მღვდლების კაგებე, თუ რაღაც ეგეთი..... ამ თუაშვილს მღვდლები და ეპისკოპოსები ფეხქვეშ ეგებიან თურმე, მიაქვთ საჩუქრები და რაღაცები, რადგან მაგაზეა დამოკიდებული მაგათი კარიერა....". ამ ლიტერატურული გმირის პროტოტიპად თავისი თავი მიიჩნია საპატრიარქოს რეფერენტმა და ზოგიერთი ცნობით ეკლესიის ყოვლისშემძლე მმართველმა შორენა თეთრუაშვილმა. " შორენა ძალიან გაბრაზებულია"- ღრმადმნიშვნელოვნად განაცხადა მამა გიორგი ზვიადაძემ.

ზურაბ მესხი დაიბადა 1974 წელს, თბილისში, მასწავლებელთა ოჯახში. 1996 წლიდან სწავლობდა და მუშაობდა ინგლისში. ამჟამად ცხოვრობს ისლანდიაში, ეწევა მეცნიერულ მუშაობას ვულკანოლოგიის სფეროში. მისი პირველი მოთხრობა "სპაზმები" გამოიცა 2001 წელს.

თუ კი საპატრიარქომ ზ. მესხი ანათემაზე გადასცა, მაშინ ახალგაზრდა მწერალი ჩადგება დიდი რუსი მწერლის ლევ ტოლსტოის, დიდი ბერძენი მწერლის ნიკოს კაზანძაკისის, ჯორდანო ბრუნოს, გალილეო გალილეის და მრავალ სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა რიგში.


# უფროსი ადმინისტრატორი

კომპანია BP Exploration Caspian Sea Ltd კონკურსზე იწვევს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას სუფსის ტერმინალზე უფროსი ადმინისტრატორის თანამდებობის დასაკავებლად.

**სამუშაოს აღწერა:**

უფროსი ადმინისტრატორის ძირითადი მოვალეობებია:

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

მოვალეობებსა და პასუხისმგებლობას შეადგენს (არ შემოიფარგლება რა ამით):

- პასუხისმგებლობა ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს საკითხებზე

STOP პროგრამაში აქტიური მონაწილეობა

- თარჯიმნის ფუნქციების შესრულება

ყიდვა/მომსახურების განაცხადების წარმოება MAXIMO-ს საშუალებით

- სუფსის ტრეინინგების კოორდინაცია, მათ შორის მგზავრობისა და საცხოვრებლის მოთხოვნილებების კოორდინაცია

სუფსის თანამშრომლებთან დაკავშირებულ საკითხებზე BP-ის კადრებისა და ფინანსური კონტროლის განყოფილებებთან მოლაპარაკება

- ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემის ექსპლუატაცია MAXIMO-ს საშუალებით

სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის აღრიცხვის სისტემის კოორდინაცია

- სუფსის ცენტრალური დოკუმენტაციის კონტროლის სისტემის კოორდინაცია

საწყობის ინვენტარიზაციის სისტემის კოორდინაცია

- სატრანსპორტო საშუალებების ყოველდღიური შემოწმებების შეგროვება და განხილვა, დანაკლისის შემოწმება. დანაკლისის აღმოჩენის შემთხვევაში ტექნიკური მომსახურების მოთხოვნის შევსება და ჩაბარება. თუ რაიმე შემჩნეული დეფექტის გამო სახიფათოა სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, ამ სატრანსპორტო საშუალების ხმარებიდან დაუყოვნებლივ გამოყვანის უზრუნველყოფა.

შავი ყუთიდან მონაცემების ჩამოტვირთვა, ანგარიშების დაბეჭდვა და სუფსის მენეჯერისათვისა და GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორისათვის გაგზავნა თბილისის ოფისში

- ყველა ტრანსპორტის საშუალების მიერ დაფარული დისტანციის ჩანაწერების წარმოება და ანგარიშვალდებულება GPC-ის სატრანსპორტო საშუალებების კოორდინატორის წინაშე თბილისში

იმის უზრუნველყოფა, რომ ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია, როგორიცაა ტექნიკური პასპორტი, გამოყენებამდე სატრანსპორტო საშუალების ყოველდღიური შემოწმების საკონტროლო სია, არის ყველა სატრანსპორტო საშუალებაში.

- სატრანსპორტო საშუალებებზე ჩატარებული ტექნიკური მომსახურების აღრიცხვის წარმოება.

**სამუშაო გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს მოეთხოვება ცოდნისა და კვალიფიკაციის შემდეგი დონე:

ოფისში მუშაობის მინიმუმ 5-წლიანი გამოცდილება, საკუთარი სამუშაოს შესრულების მინიმალური ზედამხედველობით შესრულების უნარი, გუნდური მუშაობისას ეფექტური კომუნიკაციის უნარი

- უმაღლესი განათლების დიპლომი, ენების გაძლიერებული კურსით;

ქართული ენის ფლობა მშობლიური ენის დონეზე, ინგლისურის და რუსულის - თავისუფლად;

- შემდეგი კომპიუტერული პროგრამების სრულყოფილად ფლობა: MS Word, Excel, PowerPoint, Exchange

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადაა 2005 წლის 19 ივლისი, სამშაბათი, 18:00.

კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.

**ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც იმას არ გულისხმობს, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.**

**კადრების განყოფილება**

"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"

BP Georgia

საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38



**შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი' აცხადებს კომერციულ კონკურსს საზოგადოების კაპიტალში რიცხული ქ.თბილისში რუსთაველის გამზ.N 42-ში მდებარე შენობის:**

1) შენობის ტერიტორიაზე განლაგებულ ავტოსადგომს (საერთო ფართი 46 მ2),

**2)** შენობის ტერიტორიაზე განლაგებულ ავტოსადგომს (საერთო ფართი 45 მ2),

**იჯარის ფორმით გაცემის მიზნით.**

**კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ:**

საქართველოს მოქალაქეებს ან მოქალაქეთა გაერთიანებებს, საზღვარგარეთის ქვეყნების ფიზიკურ და იურიდიულ პირებს .

**ინფორმაცია საკონკურსო ობიექტების შესახებ:**

მეიჯარე: **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი'**

მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42**

ყოველთვიური საიჯარო ქირის საწყისი საკონკურსო ფასი შეადგენს :

1) 1,75 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში გადახდის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსით;

2) 1,5 აშშ დოლარის ექვივალენტს.

წინასწარ შესატანი "ბე" შეადგენს, პოტენციური მოიჯარის მიერ შერჩეული ოთახის სრული თვიური საიჯარო ღირებულების (საწყისი ფასი გამრავლებული კვადრატულ მეტრზე) 10 პროცენტს.

**ოთახების იჯარით გაცემის საკონკურსო პირობების :**

- კონკურსში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირს, ნებისმიერი საქმიანობის წარსამართავად, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ხელს არ შეუშლის საქინფორმის საქმიანობას.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა თავის თავზე უნდა აიღოს იჯარით აღებული ოთახის ელექტროენერგიის ხარჯის აღმნუსხავი მრიცხველის დაყენება და კომუნალური გადასახადების გადახდა.

- საწარმოს პრივატიზების შემთხვევაში საწარმოს მყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს საწარმოს პრივატიზებამდე საწარმოს ძირითადი საშუალებების დროებით სარგებლობაში გადაცემის ურთიერთობები (ხელშეკრულებები) ყოველგვარი კომპენსაციისა და ჯარიმებია გადახდის გარეშე.

კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს კონკურსის ჩატარების თარიღამდე ბოლო 30 კალენდარული დღის განმავლობაში 12 საათიდან - 15 საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს 17 საათზე.

კონკურსი გაიმართება **შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმის"** შენობაში 2005 წ, 5 აგვისტო. 17 საათზე.

მისამართი: **ქ.თბილისი რუსთაველის გამზ. N42, IV სართული**

კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საკონკურსო კომისიას უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტაცია :

1. განაცხადი, რომელშიც სავალდებულოა აისახოს თანხმობა გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულებაზე;

2. ფიზიკური ა ნიურიდიული პირის მიერ წარმოდგენილი წინადადებები, მოთავსებული ცალკე კონვერტში, რომელიც ილუქება კონკურსანტის მიერ;

3. შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმის" ანგარიშზე. **(ს/ს საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალი** კოდი: **220101502** საანგარიშსწორებო

ანგარიში **N 021467320**, შპს საქინფორმი) "ბეს" შეტანის ქვითარს;

4. კონკურსში მონაწილის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი და ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

5. იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიულად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება, მყარი ფინანსური გარანტიები და კონკურენტზე უკეთესი კომერციული წინადადება. თანაბარი ან დაახლოებით თანაბარი კომერციული წინადადების პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ პრეტენდენტს, რომლის საქმიანობა დაკავშირებული ან დაახლოებული იქნება მედიასთან.

ცნობებისათვის დარეკეთ 899 988 131:

*შ.პ.ს. "საქართველოს საინფორმაციო სააგენტო -საქინფორმი"*



საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ვანის რაიონის, სოფელ მუქედის სკოლის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ მუქედის სათემო კავშირთან "იმედი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"იმედი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ვანის რაიონი,**

**სოფელ მუქედის სკოლის შენობა**

**საკონტაქტო პირი აკაკი კორძაძე, სათემო კავშირი "იმედი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 6 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 600** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ვანის რაიონი,**

**სოფელ მუქედის სკოლის შენობა**

**საკონტაქტო პირი აკაკი კორძაძე, სათემო კავშირი "იმედი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 3 აგვისტოს 15 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03



საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ლანჩხუთის რაიონის, სოფელ მამათის ელექტროგამანაწილებელი ქსელის სარეაბილიტაციო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ მამათის სათემო კავშირთან "მამათი"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"მამათი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ლანჩხუთის რაიონი,**

**სოფელ მამათის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი გივი კილაძე, სათემო კავშირი "მამათი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 6 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 400** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ლანჩხუთის რაიონი,**

**სოფელ მამათის გამგეობის შენობა**

**საკონტაქტო პირი გივი კილაძე, სათემო კავშირი "მამათი"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 3 აგვისტოს 17 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **17:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03



საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ქედის რაიონის, სოფელ მერისის სასკოლო ინტერნატის საძილე კორპუსის სარემონტო სამუშაოები.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **სოფელ მერისის სათემო კავშირთან "ვარაზა"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ვარაზა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ქედის რაიონი,**

**სოფელ მერისის სასკოლო ინტერნატის შენობა**

**საკონტაქტო პირი ბეჟან ბეჟანიძე, სათემო კავშირი "ვარაზა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 7 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ქედის რაიონი,**

**სოფელ მერისის სასკოლო ინტერნატის შენობა**

**საკონტაქტო პირი ბეჟან ბეჟანიძე, სათემო კავშირი "ვარაზა"-ს თავმჯდომარე**

**2005 წლის 4 აგვისტოს 13 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03



საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ადიგენის რაიონის დაბა ადიგენის სკოლის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ადიგენის რაიონის დაბა ადიგენის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **დაბა ადიგენის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**

**დაბა ადიგენი, საკრებულოს შენობა**

**საკონტაქტო პირი: თამაზ ძაძამია**

**დაბა ადიგენის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 8 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ადიგენის რაიონი,**

**დაბა ადიგენი, საკრებულოს შენობა**

**საკონტაქტო პირი: თამაზ ძაძამია**

**დაბა ადიგენის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 5 აგვისტოს 12:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **12:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03



საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ (KFW)

საქართველოსა და გერმანიის მთავრობებს შორის დადებული შეთანხმების საფუძველზე საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის (სსიფ) პროექტისათვის გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისაგან **(KFW)** მიიღო კრედიტი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დამხმარე ზონაში დასაქმების ღონისძიებების გასატარებლად და აპირებს დააფინანსოს სესხის ნაწილით **ბაღდათის რაიონის სოფელ ნერგეეთის სკოლის რემონტი**.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **ბაღდათის რაიონის ნერგეეთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტთან**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, **ნერგეეთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტი** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ბაღდათის რაიონი,**

**სოფელი ნერგეეთის, საკრებულოს შენობა**

**საკონტაქტო პირი: ზურაბ თაბუკაშვილი**

**ნერგეეთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 7 ივლისიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20** (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 30 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **2 700** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

**საქართველო, ბაღდათის რაიონი,**

**სოფელი ნერგეეთის, საკრებულოს შენობა**

**საკონტაქტო პირი: ზურაბ თაბუკაშვილი**

**ნერგეეთის თემის საკრებულოს განვითარების კომიტეტის თავმჯდომარე**

**2005 წლის 4 აგვისტოს 15:00 საათამდე.**

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **15:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი

ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო

ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79

ფაქსი: (995 32) 23 01 03

# ვარსკვლავების დიალოგი

პირველი გვერდიდან

"სულ რაღაც ხუთი წამია საჭირო მაილს დევისისა თუ ჯონ კოლტრეინის ამოსაცნობად; ხუთ წამში მიხვდებით, როდესაც დევიდ სენბორნი ასრულებს". მუსიკალური ბიზნესის წამყვანი ექსპერტის, Warner Brothers Pictures-ის მუსიკალური განყოფილების უფროსი კონსულტანტის ამგვარმა შედარებამ კიდევ უფრო ასწია დეივიდ სენბორნის რენომე (განსაკუთრებით მათ თვალში, ვინც ამერიკელი საქსაფონისტის შემოქმედებას კარგად არ იცნობს). თუმცა დევიდ სენბორნის ფიგურას ცხოველი ინტერესი არ გამოუწვევია თბილისელ მსმენელში. ფილარმონია დაახლოებით ნახევარი საათი ელოდა გაყიდული ბილეთების მფლობელებს. განსაკუთრებით შემაშფოთებელი სანახავი კონცერტის დაწყებამდე დარჩენილ წუთებში ნახევრადცარიელი დარბაზი იყო, მაგრამ გასაკვირი აღარაა, რომ ჩვენი მსმენელი ან სწორედ ბოლო წუთებში მოდის, ან კონცერტის დაწყებისას...

რიგით მეცხრე "კოკა კოლას ჯაზ-ფესტივალის" ძირითადი ნაწილი თუ შეიძლება ითქვას, ჯაზის სამყაროს ერთგვარი "კლანის" წარმომადგენლებით გაიხსნა. იმის მიუხედავად, რომ სენბორნის "ოლ სტარ ბენდს" დიდი ხნის ისტორია არ აქვს, მის წევრებს ერთმანეთთან ბევრი რამ აკავშირებთ (და არა მარტო მათ, არამედ წლევანდელი ფესტივალის სხვა მონაწილეებსაც). მუსიკოსების ერთგვარ გამაერთიანებლად შეიძლება მივიჩნიოთ 60-იანი წლებიდან ცნობილი ჯგუფი Blood, Sweat and Tears, რომლის თანადამაარსებელიც იყო ბობი კოლომბი; ჯგუფში მოღვაწეობდა დონ ელაიასიც. ცნობილი პერკუსიონისტი ერთადერთია სენბორნის ამ ბენდში, ვისაც ამერიკელ საქსაფონისტთან მრავალწლიანი მუშაობის გამოცდილება აქვს (ხსენებულ ჯგუფში მოღვაწეობდა ფესტივალის დღევანდელი საღამოს სტუმარი რენდი ბრეკერიც). წლების წინათ თანამშრომლობდნენ ტერი ლაინ-ქერინგტონი და დევიდ სენბორნიც.

"ჩვენი ჯგუფი ორი კვირის წინათ შეიკრიბა ლონდონში და კონცერტიც გვქონდა. იმედია ეს თანამშრომლობა გაგრძელდება, თუმცა კონკრეტული გეგმები არ გვაქვს", - გვითხრეს გუშინ მუსიკოსებმა და დაამატეს: "ვინაიდან ჩვენ ვუკრავთ ჯაზს, ძალიან ძნელია წინასწარ იმეტყველო, როგორი დიალოგი გაიმართება სცენაზე. ეს ჯაზის დამახასიათებელი თვისებაა. ერთადერთი რაზეც ვფიქრობთ, ესაა თუ რამდენად უკეთესი გამოგვივა ეს ყოველ ჯერზე". ცნობილმა ქიბორდისტმა გილ გოლშტეინმა კი ჩვენი ყურადღება კვლავ ჯგუფის განსაკუთრებულ შემადგენლობაზე გაამახვილა: "ეს იშვიათი გამონაკლისია, როდესაც ჯგუფის ხუთი წევრიდან არცერთი არაა სუსტი რგოლი. ჩემ კარიერაში ნამდვილად ყოფილა შემთხვევები, კონცერტის შემდეგ რომ გვითქვამს: უკეთესი იქნებოდა, რომ არა... და რომელიმე წევრზე მივუთითებდით... ამასთან ერთად, დევიდთან დიდი ხნის თანამშრომლობა მაკავშირებს, როგორც არანჟირების ოსტატს. ძალიან ვაფასებ ამ შესაძლებლობას, რომ ვარ მისი ჯგუფის წევრი. ამ ხალხთან ერთად გამოსვლა ჩემთვის დიდი პატივია. მართალია დღევანდელი საღამო უფრო დევიდისა და მისი მუსიკის საღამო იქნება, მაგრამ თითოეული ჩვენგანი თავის წვლილს შეიტანს მასში".

გუშინდელ კონცერტს განსაკუთრებით ელოდნენ ჯაზის მოყვარულები; ისინი, ვისთვისაც დევიდ სენბორნის შემოქმედება უცხო არ არის და ამასთანავე იცნობენ მისი ბენდის წევრების მუსიკას. ინტერესის საგანს წარმოადგენდა, როგორი შეიძლებოდა გამოსულიყო კონცერტი, რომელსაც აფრო-კუბური პერკუსიის სკოლის ერთგული დონ ელაიასი, ჰარდ და ნეო ბოპის სტილის მიმდევარი, ძალიან ძლიერი კონტრაბასისტი კრისტიან მაკბრაიდი, ფანკისა თუ ინსტრუმენტალური პოპის მოყვარული დრამერი ქალბატონი და პოსტ-ბოპის ერთგული გილ გოლდშტეინი შემოგვთავაზებდნენ სოულ-ჯაზის, პოპ-ჯაზისა თუ თანამედროვე ჯაზის სტილში მომუშავე დევიდ სენბორნთან ერთად. შედეგი საკმაოდ სასიამოვნო გამოვიდა, განსაკუთრებით ჯაზის ნამდვილი მოყვარულებისთვის. ეს არ იყო კონცერტი, რომელმაც ფილარმონიის მთელი დარბაზი აიყოლია, ან ემოციებით გადაღალა. ეს იყო უბრალოდ კარგი მაგალითი, როგორ შეუძლიათ მოგხიბლონ მაღალი დონის შემსრულებლებმა. ამ მხრივ განსაკუთრებით პირადად კრისტიან მაკბრაიდს გამოვყოფდი. ზუსტი იყო ტერი ლაინ-ქერინგთონის ვარაუდი: "კონცერტზე შესაძლოა დევიდის ძველი კომპოზიციებიც შევასრულოთ, მაგრამ ისინი აბსოლუტურად სხვაგვარად გაიჟღერებს, რადგან მიდგომა ცალსახად განსხვავებული იქნება".

ამგვარად, გუშინდელი საღამო სასიამოვნო დასაწყისად შეიძლება მივიჩნიოთ. დღეს კი გაცილებით საინტერესო პროგრამას უნდა ველოდოთ ჯონი სკოფილდის, ასევე "შინისა" და რენდი ბრეკერის ერთობლივი პროექტის სახით.




რენდი ბრეკერი, დევიდ სენბორნი და ზაზა მიმინოშვილი.




DEZA DIREKTION FÜR ENTWICKLUNG UND ZUSAMMENARBEIT
DDC DIRECTION DU DÉVELOPPEMENT ET DE LA COOPÉRATION
DSC DIREZIONE DELLO SVILUPPO E DELLA COOPERAZIONE
SDC SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION
COSUDE AGENCIA SUIZA PARA EL DESARROLLO Y LA COOPERACIÓN

Staatssekretariat für Wirtschaft
Secrétariat d'Etat à l'économie
Segretariato di Stato dell'economia
State Secretariat for Economic Affairs
seco

**SWISS REGIONAL COOPERATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS**
**Embassy of Switzerland**

**განცხადება**

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკა და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია".**

კურსი ჩატარდება 2005 წლის 27 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე ქ. ბაქოში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2005 წლის 16 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე:

**http://hei.unige.ch/psio/outreachactivities/capacitybuilding.html**

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ ჟენევის საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის, საერთაშორისო ორგანიზაციების სწავლების პროგრამის კოორდინატორს ახიმ ვენმანს ელექტრონული ფოსტით: cabirapplications@yahoo.com

GNIA

**საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო**
**ყოველწლიური გამოცემა ქართველ ექსპორტიორებზე**
**(ექსპორტიორთა დირექტორია)**

საქართველოს ეროვნულ საინვესტიციო სააგენტოს განზრახული აქვს ქართველ ექსპორტიორთა ჟურნალის (დირექტორიის) გამოცემა, რომელშიც განთავსდება ზოგადი ინფორმაცია ქართულ ექსპორტიორ კომპანიებზე, მათი საკონტაქტო მონაცემები და პროდუქციის ფოტოები.

ჟურნალი იქნება მაღალი ხარისხის (A4 ფორმატი) და გამოიცემა ყოვეწლიურად, განახლებული ინფორმაციით. გამოცემა დაეგზავნება საქართველოს საელჩოებს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, სავაჭრო წარმომადგენლობებს, ბიზნეს ასოციაციებს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესისა და საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაციას მთელ მსოფლიოში. დაგეგმილია აგრეთვე აღნიშნული გამოცემის ელექტრონული ვერსიების მომზადება.

დაინტერესებულ კომპანიებს, ანუ აქტიურ ექსპორტიორებს და საექსპორტო პოტენციალის მქონე მეწარმეებს, გთხოვთ დაგვეხმაროთ სრულყოფილი გამოცემის შემუშავებაში და მოგვაწოდოთ ინფორმაცია თქვენი კომპანიისა და პროდუქციის შესახებ ა..წ. 20 ივლისამდე.

**საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტო**

**ევროკავშირის TACIS-ის პროგრამის პროექტი - საქართველოს ექსპორტის ხელშეწყობის ტექნიკური დახმარება**

**TEL: 37 95 00; 37 94 00**
**FAX: 37 96 38**
**E-mail : tevdoradze@gepa.org.ge**
**chadadze@gepa.org.ge**







